# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 23 აპრილი 1998 №59 (594) ფასი 40 თეთრი

**შარშან „დინამო“ — თსუ-ს მატჩისას სტუდენტებს მეკარე ბათიაშვილი რომ გაუძევეს, დაზარალებული კლუბის მაშინდელმა პრეზიდენტმა ზაალ ცხვარაძემ განაცხადა, არბიტრმა მალაღურაძემ ბათიაშვილი იმიტომ გააძევა, რომ „კოლხეთისგან“ ფული ჰქონდა აღებულიო. ამ განცხადებას აურზაური კი მოჰყვა, მაგრამ საქმე მალე ჩაიფარცხა. და კვლავ...**

# ახლა მართლა მჯერა, რომ მალაღურაძე კოლხეთის მსაჯია

## ბესიკ ჯიქიამ აღშფოთება ვერ დამალა



„დინამო“ — „ტორპედოს“ მატჩის შემდეგ ვერ შევძელი ჩემი აზრის გამოთქმა — ამით დაიწყო ქუთაისური კლუბის მეპატრონემ — თამაში რომ დამთავრდა, უკვე ვიცოდი მამაჩემის მძიმე მდგომარეობა და ხუთ საათში კიდეც გარდაიცვალა — ქუთაისში ცოცხალს ძლივს ჩავუსწარი. სათქმელი მინდა ახლა ვთქვა. გაუგებარია, რატომ ცდებიან ჩემს საწინააღმდეგოდ და რატომ არ მოხდა ერთხელ მაინც მსაჯი ჩემს სასარგებლოდ შემცდარიყო. თუ ვინმე ჩვენი მატჩის მსაჯობისას შეცდა, ესენი ფიფას მსაჯები იყვნენ, თანაც ეს რატომღაც პრინციპულ მატჩებში ხდებოდა.

ჩრდილს არ მივაყენებ, შესაძლოა, „დინამო“ დღეს „ტორპედოზე“ ძლიერი გუნდია, მაგრამ, როცა თამაშგარიდან გატანილი გოლით იგებენ და ჩვენს ფეხბურთელ ვაშაკიძეს საეჭვო გაფრთხილებას აძლევენ, რომელიც მომდევნო თამაშს ტოვებს? გუჩუას, ლობჟანიძეს და ცქიტიშვილს მაყურებლის გინებისთვის არ აგდებენ, ამით და არასწორი ჯარიმებით გაღიზიანებულ ქუთაისელ მაყურებელს კი ადანაშაულებენ. არბიტრმა ლაცაბიძემ ნაწილობრივ კიდეც აღიარა, პირველი გოლი თამაშგარიდან რომ გავიდა. მცხეთაში მას საფიქრალად დროც არ ჰქონდა, დღეს კი უკვე ფეხბურთელმა მიღებული ბურთით 5-6 მეტრი რომ გაირბინა და დაარტყა, თამაშგარე მერელა დააფიქსირეს. მანამდე აცალეს, მერე კი, ეტყობა, დაასკვნეს, რომ ასე უნდა მოქცეულიყვნენ, ამ თამაშის შემდეგ სხვა აზრი არ მიჩნდება.

რუსთავში მინიმუმ 5 მომენტი იყო, მასპინძლებისთვის ყვითელი ბარათი რომ უნდა ეჩვენებინათ, ორჯერ კი ასპროცენტიან წითელ ბარათს იმსახურებდნენ. პრაქტიკულად, მეკარესთან პირისპირ გასული შენგელიას ხელით დაგდებისთვის კუდინოვი არ გააძევეს, არადა, ორი ყვითლის შემთხვევაში კუდინოვი ავტომატურად გაძევებას იმსახურებდა. დიმას პატივს ვცემ, დიდი ფეხბურთი უთამაშია, მაგრამ გუშინ სცოდავდა და მსაჯებმა ყვითლები უბრალოდ შემოინახეს, რომელიმე რუსთაველი რომ არ გავარდნილიყო.

არ ვამბობ, რომ ვანგა ვარ, მაგრამ ორივეჯერ ვგრძნობდი, ასე რომ იქნებოდა და ვთხოვე ფედერაციას, ნუ დამინიშნავთ გუნთაძეს, ლაცაბიძეს და მალაღურაძეს. ვთხოვე, იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც მალაღურაძემ „კოლხეთს“ „დინამოსთან“ მოაგებინა, ვატყობდი, ფოთელთა ინტერესების გათვალისწინებით გვიმსაჯებდა. იმასაც ვატყობდი, რომ კოლხთა რამდენიმე წარმომადგენელი მალაღურაძეს თამაშის წინ ესაუბრებოდა. შევედი და ვთხოვე, არ გამყიდო, სუფთად მიმსაჯე-მეთქი. ჩემთვის გაუგებარი იყო, ფედერაციის დელეგატ გურამ პეტრიაშვილის საქციელი, რომელმაც პატარა ბიჭუნასავით გამომაგდო სამსაჯოდან, თამაშის შემდეგ კი სოსო ფრუიძეს ხელის შეხებით დაემუქრა. არადა, მსაჯებისთვის ხმამაღალი სიტყვა არ გვითქვამს. ფრუიძე რაზმაძეს ენიძლავებოდა, ათასი დოლარი შენი იყოს, 12 ათასი „ტორპედოსი“ და თუ კასეტაზე თამაშგარე გამოჩნდა, წაგებული იქნებიო.

ჩემთვის გაუგებარია, ვის რა ხელს უშლის ქუთაისის „ტორპედო“. პირდაპირ მაინც მითხრან, წელს უეფაზე არ გახვალთო.

ეს ყველაფერი ეჭვს აჩენს. მე მხოლოდ ის მსურს, ეჭვები გამიფანტონ. თუ განმიცხადებენ პირდაპირ, რომ ჩვენი უეფას თასზე გასვლა არ სურთ, გულშემატკივრებს ვეტყვი, ნურცერთ თამაშზე წამოგვყვებიან, დღევანდელივით მერე მათი სინანულის ცრემლები რომ არ დავინახო.

მე გული იმაზე მტკივა, რომ ნაშრომს მიყრიან წყალში. ეს რომ ნამაიმუნარი იყოს, გული არ მეტკინებოდა. გუნდს დღემდე თავი შრომით და წვალებით მოუტანია. თუ ვინმე მეტყვის, რომ „ტორპედომ“ რამე სხვა გააკეთა, ხმას არ ამოვიღებ.

ჩვენ ისე არა ვართ, ზოგს რომ წინა მატჩში მეტოქე ფეხბურთელებს უფრთხილდებიან და უძევებენ. „კოლხეთთან“ თამაშის წინა ტურებში ყვითელ-წითელი ბარათებით ბათუმში „გურიაც“ გაანახევრეს და „მაღაროელიც“. თუ მე ასეთი თამაში მქონდა რომელიმე, მითხრან, რომ წინასწარ მომზადებულ ნიადაგზე მივდიოდი.

ერთადერთხელ მსაჯი ჩვენს სასარგებლოდ „გურიასთან“ შეცდა, გოლი რომ გავიტანეთ, ჯარიმა იყო და ლაცაბიძემ ეს მერე გამომატირა. იმასაც ვიტყვი, „დილას“ ლიმიძე და მარლიშვილი რომ დავუთმეთ, პირობა წავუყენეთ, „ოდიშს“ და „კოლხეთს“ თუ მოუგებთ, ტრანსფერის თანხა ანულირებული იქნებაო. ამის უფლება მე მაქვს. ეს მხოლოდ სტიმულია. ასეთი რამ საერთაშორისო დონეზეც ხდება.

ფედერაციამ, ევროტურნირებზე „ტორპედოს“ გასვლა გვსურსო. ერთი ხელით გვეფერებიან, მეორეთი საქმეს გვიფუჭებენ.

შემოიტანე 1000 დოლარი და გაასაჩივრეო. რომ გავასაჩივრო, რაა? ეს დებილებისთვის მოგონილი წესია, მე კი არ მინდა, დებილის როლში გამოვიდე. ჰა, ჰა, მსაჯს ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცენ, ან ვითომ თითი დაუქნიონ. მალაღურაძეს ხომ ჰქონდა ერთწლიანი დისკვალიფიკაცია, დღეს კი მაინც მსაჯობს და იგივეს აკეთებს, რისთვისაც დაისაჯა.

იმ აზრამდე მივდივარ, რომ ასეთი უმსგავსობები განზრახულად ხდება, თანაც „ტორპედოს“ პრინციპულ თამაშებში. გუნდი რომ მეკარესთან 5-6-ჯერ გადის პირისპირ და ყველას წესების დარღვევით ჩაუშლი, შეიძლება? მსაჯი რომ ისე გამოიქცევა, იფიქრებ, ფეხბურთელს აძევებსო და სამ მოთამაშესთან მოლაპარაკების შემდეგ თითქოს არაფერი მომხდარა, ამას რა ჰქვია?

ახლა მართლა მჯერავს, რომ იწერება, მალაღურაძე „კოლხეთის“ მსაჯიაო. როგორ არ დავიჯერო. ფოთიდან ჩამოსული თხოვნის მიუხედავად პირდაპირ დამინიშნეს რუსთავში.

**ვახტანგ ბზიკაძე**



# 24 ტური

რუსთავი 0:0 ტორპედო
გურია 1:2 ლოკომოტივი
მარგვეთი 1:4 ბათუმი
დილა 0:0 კოლხეთი
დინამო 5:2 თსუ
სამგურალი 1:0 სიონი

**დღეს**

ვიტ ჯიორჯია - მაღაროელი

**ხვალ**

მერანი - ოდიში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 23 | 19 | 2 | 2 | 65:12 | 54 |
| ბათუმი | 24 | 15 | 5 | 4 | 53:17 | 50 |
| კოლხეთი | 24 | 14 | 5 | 5 | 45:19 | 47 |
| ტორპედო | 24 | 13 | 7 | 4 | 40:20 | 46 |
| ოდიში | 22 | 13 | 3 | 6 | 35:30 | 42 |
| თსუ | 24 | 11 | 6 | 7 | 32:21 | 39 |
| ლოკომოტივი | 24 | 10 | 6 | 8 | 28:30 | 36 |
| მერანი | 23 | 9 | 6 | 8 | 26:30 | 28 |
| დილა | 24 | 8 | 4 | 12 | 21:29 | 28 |
| სიონი | 24 | 8 | 6 | 10 | 36:30 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 23 | 6 | 7 | 10 | 20:28 | 25 |
| რუსთავი | 23 | 7 | 2 | 14 | 21:36 | 23 |
| სამგურალი | 24 | 6 | 5 | 13 | 22:45 | 23 |
| გურია | 24 | 4 | 7 | 13 | 23:47 | 19 |
| მაღაროელი | 22 | 4 | 3 | 15 | 19:50 | 15 |
| მარგვეთი | 24 | 1 | 6 | 17 | 17:59 | 9 |

მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე

დარჩა FRANCE 98 47 დღე

# ფუტიქსის დროშით
## ამხანაგური მატჩები

**შვედეთი 0:0 საფრანგეთი**

**იტალია 3:1 პარაგვაი**
1:0 მალდინი (4), 2:0 მორიერო (17), 2:1 კოსტაკურტა (57 ს.კ.), 3:1 მორიერო (60)

**ინგლისი 3:0 პორტუგალია**
1:0 შირერი (5), 2:0 შერინგემი (46), 3:0 შირერი (65)

**შოტლანდია 1:1 ფინეთი**
0:1 იოჰანსონი (10), 1:1 ჯეკსონი (15)

**ბულგარეთი 2:1 მაროკო**
1:0 პენევი (103), 2:0 სტოილოვი (79), 2:1 ბასირი (80)

**ირლანდია 0:2 არგენტინა**
0:1 ბატისტუტა (28), 0:2 ორტეგა (40)

**ავსტრია 0:3 აშშ**
0:1 ჰაიდუკი (54), 0:2 მაკბრაიდი (89), 0:3 რეინა (90)

**ხორვატია 4:1 პოლონეთი**
1:0 ბობანი (6), 2:0, 3:0 სტანიჩი (21, 42), 4:0 ბოკშიჩი (47), 4:1 რატაიჩიკი (67)

**გერმანია 1:0 ნიგერია**
1:0 მიოლერი (57)

**იუგოსლავია 3:1 კორეა**
0:1 ჰვანგ სუნ ჰონგ (14), 1:1, 2:1 სტანკოვიჩი (46, 57), 3:1 იოკანოვიჩი (63)

**დანია 0:2 ნორვეგია**
ნორვეგია: გროდასი (მიჰრე 60), სტეინარ ნილსენი, ეგენი, ბერგი, როჯერ ნილსენი (ბიორნებუ 45), ჰავარდ ფლო (რისეტი 80), სოლბაკენი, ლეონარდსენი, ტორე ანდრე ფლო, რეკდალი (ჰესტადი 72), სტრანდლი
0:1 ლეონარდსენი (26), 0:2 ტორე ანდრე ფლო (58)

**ბელგია 1:1 რუმინეთი**
0:1 მოლდოვანი (45), 1:1 ნილისი (77)

**რუსეთი 1:0 თურქეთი**
1:0 ბესჩასტნიხი (80)

**სლოვენია 1:3 ჩეხეთი**
სლოვენია: სიმეუნოვიჩი (ბოშკოვიჩი 61), კნავსი (პოლისაკი 61), ბულაიჩი (გალიჩი 32), მილანიჩი, ენგლარო, ჩეჰი, პავლინი (აჩიმოვიჩი 68), ნოვაკი, ზაჰოვიჩი, შილიაკი, რუდონია (ისტენიჩი 65)
1:0 ბულაიჩი (22), 1:1 შმიცერი (28), 1:2, 1:3 ლუკეში (58, 60)

**ჩრდ. ირლანდია 1:0 შვეიცარია**
1:0 პატერსონი (10)

### ჰოლანდია

ბრედა — ვიტესი 1:3, სიტარდი — ეინდჰოვენი 1:2, ფეიენოორდი — როდა 1:0, ტვენტე — ჰერენვეენი 3:1

### ირანის თასის ტურნირი

ფინალი

**უნგრეთი 0:0 მაკედონია**
(პენ. 4-2)

მატჩი მესამე ადგილისთვის

**ირანი 1:0 იამაიკა**
1:0 ხაკპური (54З)

# ჩრდილი აფრიკაშიც იცის



ვლადიმე გუცაევი

სადღაც ჩრდილიც იქნება, წვიმაც, ქარიც. ტუნისის ტუნისში კი, აფრიკის ჩრდილოეთში რომ მდებარეობს, ალბათ, საშინელი პაპანაქება დახვდება ქართველ ფეხბურთელთა ეროვნულ გუნდს, რომელიც 2 მაისს ამხანაგურად სათამაშოდ ესტუმრება აფრიკელ არაბებს. დიახ, 2 მაისს ამხანაგური მატჩია: ტუნისი — საქართველო.

ყოველივე ორიოდ დღეში გახდა ცნობილი. გუშინ კი ქართველ ფეხბურთელთა თავკაცმა ვლადიმერ გუცაევმა, რომლის მწვრთნელობითაც ჩვენებმა პირველი საერთაშორისო ტურნირი მოიგეს, ის 22 ფეხბურთელი ჩამოგვითვალა, რომლებიდანაც 16-ს შეარჩევს და პირველ მაისს სტამბოლის გავლით ტუნისს ესტუმრება:

**მეკარეები:** ნიკა ტოგონიძე (ბათუმი), დავით გვარამაძე (სკონტო)
**მცველები:** გელა შეყილაძე (ბათუმი), კახა ცხადაძე (მანჩესტერ სიტი), კახა კალაძე (დინამო კ), ლევან სილაგაძე (სკონტო), გივი დიდავა, ლევან ტქიტიშვილი (ორივე დინამო), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი)
**ნახევარმცველები:** გიორგი ნემსაძე (გრასჰოპერი), გოჩა ჯამარაული (ტრაბზონსფორი), თემურ ქეცბაია (ნიუკასლი), გოგა გახოკიძე (ალანია), გიორგი ლუდუშაური (ტორპედო მ), გიორგი კიკნაძე (დინამო), გიორგი ქინქლაძე (მანჩესტერ სიტი)
**თავდამსხმელები:** მიხეილ ყაველაშვილი (გრასჰოპერი), მიხეილ აშვეთია (დინამო), დავით ჩალაძე (ალანია), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), შოთა არველაძე (აიაქსი), არჩილ არველაძე (ბრედა)

როგორც ხედავთ, მწვრთნელმა სიაში მალტისას არგამოძახებული კახა ცხადაძეც შეიყვანა. „სიტიში“ გადაბარგების შემდეგ მისი სანაკრებოდ გასინჯვა ალბათ უპრიანია. ასევე მისასალმებელია ბოლო დროს რუსეთის პირველობაზე თავგამოჩენილი დავით ჩალაძის ეროვნულში პირველად გამოძახება და საქართველოში დღეისათვის საუკეთესო ფეხბურთელის მიხეილ აშვეთიას გუცაევის გუნდში დაბრუნება. ორივე ნაკრების დებიუტანტია, მაგრამ ითამაშებენ თუ არა, მწვრთნელზეა დამოკიდებული. დებიუტანტობა დიდავაზეც ითქმის, მალტაზე, თუმც კი იყო, წუთიც არ უთამაშია. დავიწყებული ნაკრების წევრია გიორგი ლუდუშაური. მისი რუსეთში ვაჟკაცობა გუცაევმა უმალ შეამჩნია და გამოცდას უპირებს. გემახსოვრებათ ჩივაძის დროინდელ გუნდში ლუდუშაურს თითქმის ყველა შეკრებაზე იბარებდნენ. დანარჩენებზე შეგნებულად არაფერს ვიტყვით, მათ გუცაევის მწვრთნელობა adრეც უნახავთ და საკუთარ თავზე გამოუცდიათ. მოკლედ, ხვალ, 12 საათზე მწვრთნელი პრესკონფერენციას გამართავს და ტუნისში წამსვლელ საბოლოო თექვსმეტეულსაც დაასახელებს.

ამასობაში კი, ტუნისის ნაკრების მწვრთნელმა, თავის დროზე პოლონეთის შესანიშნავი ნაკრების ფეხბურთელმა, ბოლო დროს საფრანგეთის კლუბებში ნამუშევარმა ჰენრიკ კასპერჩაკმა თავისი რჩეულები დაასახელა. მათ შორის არ არიან ტუნისის თასის 3 მაისს გასამართი ფინალის მონაწილეების — „კლაბ აფრიკანისა“ და „ობეას“ ფეხბურთელები. სამაგიეროდ, პოლონელმა სპეციალისტმა ქართველებთან სათამაშოდ, მარტში ტუნისის მოქალაქეობამიღებული, წარმოშობით ბრაზილიელი, მცველი ჟოზე კლაიტონი იხმო.

ქართველთა მომავალი მეტოქეების გვარ-სახელები ასე გამოითქმის:

**მეკარეები:** ალი ბემნეილი (ბასტია, საფრანგეთი), შოკრი ელ უაერი (ესპერანსი), რადუან სალჰი (ეტოილ საჰელი)
**მცველები:** სამი და ჰატემ ტრაბელსი (ორივე სფაქსიემი), ხალედ ბადრა (ესპერანსი), ტარეკ თაბეტი (ესპერანსი), მუნირ ბუკადიდა (ეტოილ საჰელი), ფერიდ შუშანე (ეტოილ საჰელი), ჟოზე კლაიტონი (ეტოილ საჰელი), ჰაკიმ ნუირა (ესპერანსი)
**ნახევარმცველები და თავდამსხმელები:** კაის გოდბანე (ეტოილ საჰელი), როფიან ფეკი (სფაქსიემი), რადიჰ ბუაზიზი (ეტოილ საჰელი), სარაიედინ შიჰი (ესპერანსი), სკანდერ სუაია (სფაქსიემი), რადიჰ იელასი (ეტოილ საჰელი), იმედ ბენ იუნერი (ეტოილ საჰელი), მაჰერ კანზარი (ესპერანსი), ფაისალ ბენ აჰმედი (ესპერანსი), აბდელკადერ ბელჰასენი (ბიზერტინი), ტარიკ ბენ შრუდა (მარსა)



ჰენრიკ კასპერჩაკი

ამათი გვარების დამახსოვრებისას დიდი ჯაფა დაგადგებათ. გირჩევთ, თავს ტყუილად ნუ აიტკიებთ, ღმერთმა იცის, ტუნისს მეორედ როდის გავეჯიბრებით. ამ ეტაპზე კი, ეჭვი არაა, მატჩი ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება. ჩვენ შესარჩევებისთვის წაგვადგება, მასპინძლებს — სამსოფლიოჩემპიონატოდ. ისე ჩანს, „ეტოილ საჰელი“ კარგი გუნდი ყოფილა, რვა ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში მრავლისმეტყველია. თუმცა, ნუ დაგავიწყდებათ. ჰენრიკ კასპარჩაკმა თასის ფინალისტები კლბებს რომ დაუტოვა.

მოკლედ, 2 მაისისთვის გავემზადოდ. სიცხეში თამაშსაც მიჩვევა უნდა. ნიგერიაში სტუმრობიდან ხომ საკმაო ხანი გავიდა.

**კაბა ინასარიძე**

# ვინ დაწერა რუსთაული დრამის სცენარი?

**რუსთავი**
**„ფოლადი“**
**22 აპრილი**

**რუსთავი 0:0 ტორპედო**

**რუსთავი:** გ. ქორიძე, მენთეშაშვილი, პატარიძე, კუდინოვი, პავლიაშვილი (მ. სახვაძე 78), ცომაია, ზირაქაძე (ლაბაძე 61), მელაძე (ბოკერია 72), ჩუხუა, ყიფიანი, კ. ალადაშვილი
**ტორპედო:** მამარდაშვილი, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, ჩხეტიანი (კ. მეტრეველი 54), კ. კვეტენაძე (თურმანიძე 49), შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია (გ. შენგელია 68), მეგრელაძე, ჩხაიძე
**გაფრთხილება:** მაღლაკელიძე, სახვაძე, კუდინოვი
**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

**მამუკა კვანტალიანი** რუსთავიდან

## მიდის დარსაძე?!

თამაშამდე მასპინძელთა გუნდის თავკაცმა გაიოზ დარსაძემ თქვა, დღეს ჩემი ბოლო მატჩია, ამის შემდეგ პოსტს ვტოვებ და „რუსთავს“ სხვა გაწვრთნისო. მაშინ დარსაძემ რა იცოდა, თუ „ტორპედოს“ ნანატრ ქულას დასტყუებდა. თამაშის შემდეგ ადრინდელი ნათქვამის დაკონკრეტება ვთხოვეთ და შემდეგი მოგვიგო — საბოლოოდ ვერაფერს მოგახსენებთ, ყველაფერი ამაღამ გაირკვევა, თუ გოგა ჟვანია დარჩა, მეც მის გვერდით ვიქნები, არადა, ადრე თქმულს შევასრულებო. ასე დაგვრჩა გაურკვეველი დარსაძის საქმე. იმედია, მწვრთნელი თავის საბოლოო პასუხს დღეს მაინც მოგვახსენებს.

რატომ ვერ მოიკიდა ფეხი რუსთავში დარსაძემ, ვერ გეტყვით, მაგრამ რუსთაველი გულშემატკივრები ალმაცერად რომ უყურებენ, ფაქტია. გუნდში რუსთაველი არ დატოვა, აქაურობა თავისი შვილობილებით გაავსო, ჩამოყვანილები ჩვენებურებზე კარგად რომ თამაშობდნენ, კიდევ ავიტანდით, მაგრამ იმათნაირი დაბდურები აქაც ბლომად გვყავსო — არ მალავენ აღშფოთებას რუსთაველები. არა, დარსაძეს გულშემატკივრებთან საერთო ენის გამონახვა ძლიერ გაუჭირდა, მდგომარეობაც დაძაბულია და მწვრთნელმაც ამიტომ ამჯობინა გაცლა. დარსაძე რუსთავიდან მაინც წავა, უბრალოდ აიძულებენ და ყოველივე მხოლოდ დროის ამბავია. როგორც ამბობენ, რუსთავში დარჩენის პერსპექტივა არც კლუბის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, გოგა ჟვანიას ხიბლავსო. გულშემატკივრებს კი ამჟამად მხოლოდ ერთი მოთხოვნა აქვთ — გუნდი პირველ ჯგუფში უნდა დარჩეს, დანარჩენზე მერე მოვრიგდებითო — გაიძახიან.

## ჭორი იყო თუ მართალი

„რუსთავს“ რიონისპირელების შარშანდელი ვალი აქვს გასასტუმრებელი, ამიტომ დღეს ქუთაისელები სამ ქულას უპრობლემოდ წაიღებენო — ითქვა „ფოლადის“ სტადიონზე და ეს იყო მრავალთაგან ერთ-ერთი ვერსია, რომელსაც ხშირად გაიგონებდით. შარშან „ტორპედომ“ რუსთაველებს მართლა პატივი სცა, მაგრამ ის ვალი თითქოს გასტუმრებულიც იყო, ამიტომ ცოტა არ იყოს გაუგებარია, რა მიცემაზე ამბობდნენ გულშემატკივრები.

მასპინძელთა გუნდის თავკაცებმა სტუმრებს თამაშის გაყიდვაზე ცივი უარი სტკიცეს, ამიტომ ქუთაისელებმა რამდენიმე ფეხბურთელი მოისყიდეს და სტადიონზე წასვლას რა აზრი აქვსო — ესეც რუსთავში მოვისმინეთ. ყაიმზე არაფერი თქმულა, არადა, მატჩი ფრედ დამთავრდა, რამაც სტუმართა კლუბის ხელმძღვანელები ძლიერ აღაშფოთა. ისინი ყველაფერში მსაჯებს ადანაშაულებდნენ. თამაშის შემხედვარე კი მიხვდებოდა, რომ მატჩი ჩაწყობილი არ იყო, თუმცა მთელ ქალაქში ჭორად მოარული ხმები მთლად საფუძველმოკლებულიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ეჭვი მასპინძელთა გუნდის თავკაცებსაც ღრღნიდა, ფეხბურთელებმა თამაში გაგვიყიდესო.

## ფეხმოტეხილი „ტორპედო“

თამაშამდე იმდენი ჭორ-მართალი მოვისმინე, აშკარად დავიბენი. გაბრუებული ვუცქერდი მატჩს და არ ვიცოდი, რა მეფიქრა და ვისი მერწმუნა. თამაშიც, უფრო სწორედ მისი პირველი ნახევარი, ვერაფერი სანახავი გამოდგა. უაზრო ბურთაობაში მასპინძლებს შესამჩნევი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მათი მოქმედება მეტად ქაოსური გახლდათ. ამდენი რუსთაველი დარსაძეს ჯერ არ დაუყენებია წინ ეულად მყოფი ჩუხუა იტანჯებოდა. ჯუბამ კარშიც დაარტყა სახიფათოდ, ბევრიც იმოძრავა, მაგრამ მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ხომ გაგიგონიათ. მის დახმარებას ზირაქაძე ცდილობდა. ერთი ორჯერ შეყრილაძეს გვარიანი თავსატეხიც გაუჩინა, მაგრამ ამით „რუსთავმა“ ვერ იხეირა.

„ტორპედო“ მეტად უფერული ჩანდა. არ ვიცი, რისი ან ვისი იმედით გავიდნენ ქუთაისელები მინდორზე, მაგრამ ასე ცუდად ჯერ არ უთამაშიათ. არ გამოსდიოდა თამაში ჯანაშიას, ჩხაიძეს, არც კვეტენაძეს და ხუჯაძეს. არა, ევროთასებზე გასვლის მსურველი ასე სუსტად არ უნდა თამაშობდეს. რიონისპირელი ფეხბურთელები ფეხმოტეხილი კაცივით ირჯებოდნენ, რომელსაც ყოველი ნაბიჯის გადადგმა უდიდეს ტკივილს აყენებს.

მეორე ტაიმში თამაში გამოცოცხლდა. უფრო ბოლოსკენ, როცა სტუმრები მიხვდნენ, დრო იწურებოდა და მატჩს ვერ იგებდნენ. ფრუიძემ ჯანაშია, კვეტენაძე და ჩხეტიანი დაასვენა, მათ ნაცვლად შესულებმა — თურმანიძემ, მეტრეველმა და შენგელიამ კი მასპინძელთა დაღლილ დაცვას ცეცხლი შეუნთეს. მეგრელაძე, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველასგან გამოირჩეოდა. რომ არა ქორიძე, გიორგი საწადელს აისრულებდა და გოლსაც გაიტანდა. გაიტანა კიდეც, მაგრამ... ცოტა მსაჯებიც დაიბნენ. მალალურაძეს დიდი შეცდომები არ დაუშვია, მაგრამ რამდენიმე მომენტში ჯიბისკენ ხელის წაღება არ ინდომა, თორემ შენგელიას და ჩხაიძის წაქცევისთვის კუდინოვს ყვითელი და სახვაძეს წითელი ბარათები ეკუთვნოდათ. გაფრთხილება არც ცომაიას აწყენდა, როცა ერთხელ ვარდნაში მეკარის ილეთი მოიშველია და ბურთის მოსაგერიებლად ხელი იხმარა.

ყველაზე სადაო მომენტი კი მაშინ შეიქმნა, როცა მეგრელაძემ, ხუჯაძის



გიორგი შენგელია და გია მეგრელაძე (№10) ვასილ პავლიაშვილის შლაგბაუმმა ვერ შეაშინა

პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა, ქორიძეს ბურთი თავზე გადაუგდო და გოლი გაიტანა. თანამსაჯმა რაზმაძემ, რომელიც ამ მომენტს სრულად ვერ აკონტროლებდა, დროშა მაშინ აღმართა, როცა მეგრელაძემ ბურთი უკვე კარისკენ გაგზავნა. არადა, შეიძლება მართლაც თამაშგარე მდგომარეობა იყო, მაგრამ თანამსაჯის გაუბედავი მოქმედება მაინც ეჭვს აღძრავს. სულ ეგ იყო, სხვა საინტერესოც არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ ამ ერთმა ქულამ „რუსთავს“ სული მოათქმევინა.

## ტორპედოს წვავენ

თამაშის შემდეგ მსაჯთა გასახდელში რაღაც მოხდა, ყოველ შემთხვევაში, მწვავე საუბარი მაინც. ქუთაისელები მსაჯებს და მატჩის დელეგატს ედავებოდნენ. გასახდელს პოლიცია იცავდა და ოთახში არც შეგვიშვეს. იქიდან გამოსულმა ჯიქიამ კი ეს თქვა:

— მალალურაძეს წითელი ბარათი ორჯერ უნდა ამოეღო. ჩხაიძე და შენგელია პირისპირ გადიოდნენ, ხოლო ბოლო იმედის ჯარიმა წითელი ბარათით ისჯება. ხომ გამიგდეს „დინამოსთან“ ხუჯაძე მაშინ თუ შეიძლებოდა და წესი იყო, ახლა შეიცვალა?! მეგრელაძის გოლი ავიღოთ. მსაჯმა ალამი ძალიან გვიან ასწია და საერთოდ სად იდგა. ის რომ საჭირო ადგილზე დადგა, გოლი უკვე გასული იყო. მართალი ბრძანდებოდა თემურ შაშიაშვილი, ვილაცეებს არ აწყობთ „ტორპედოს“ ევროთასებზე გასვლა.

იმის ნაცვლად, რომ დელეგატი მსაჯებს შეცდომებზე უთითებდეს, პირიქით, მთავარი მწვრთნელისკენ იწევს და ლამის სცემოს. სამართალი არ ყოფილა და ესაა.

## ბოლო ვერსია

„ტორპედოს“ ხელმძღვანელები მატჩის შედეგის გაპროტესტებას აპირებდნენ. ბესიკ ჯიქიამ იქვე დაადასტურა, ჩვენ პროტესტს დავწერთ. მე ყველას შევატყობინე და ამას გავაკეთებთ კიდეცო.

ჯიქიას მეტი არაფერი უთქვამს, კლუბის ოპერატორთან მივიდა, ეტყობა, ჩანაწერის ხილვა სურდა. ჩვენც თბილისისკენ დავიძარით, მანამდე კი ერთი ვერსია კიდევ მოვისმინეთ, რომელიც მართალია თუ ჭორი მხოლოდ ღმერთმა უწყის. კერძოდ, მავანნი ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი ეს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დადგმული სცენარია. მსაჯებს გარკვეული ინსტრუქტაჟი იქ გაუწევიათ, რადგან „რუსთავი“ არ უნდა გავარდეს. სწორედ ამიტომ დაზარალდა „ტორპედო“, მაგრამ ქუთაისელები ბოლომდე მაინც ვერ გაწირეს, ამიტომ „კოლხეთს“ გორში მახე დაუგეს და ამათ შორის წონასწორობა შეინარჩუნესო. მოკლედ, ბოლო ვერსიით ფედერაცია „რუსთავს“ პატრონობს და ამისთვის მცირე სკანდალებს არ ერიდება.

ღმერთო, ნეტავ, სად არის სამართალი. ბოლოს ერთი, უკვე ძლიერ გაცვეთილი კითხვა გავიხსენოთ და ეს ვიკმაროთ — რა ხდება ქართულ ფეხბურთში?

**ლანჩხუთი**
**„ევგრაფი შევარდნაძე“**
**22 აპრილი**

**გურია 1:2 ლოკომოტივი**

**გურია:** გოგუა, ლურწკაია, კ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ფაცურია, თიბილაშვილი, ზ. კვეკვესკირი, განევი (ჯ. ბერიძე 58), ჯაშიაშვილი (ხოსროშვილი 46), ბუკია, ბულუხია
**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, ამბიძე, ზ. არჩვაძე, ბარნოვი, კაკუბავა, ქვარცხავა, გ. კვეტენაძე (ხუციშვილი 46), ყაველაშვილი, კოტორაშვილი, დათუაძე (ერაძე 78), ზამთარაძე (ქვილაძე 88)
1:0 კ. კვეკვესკირი (31პ), 1:1 დათუაძე (36), 1:2 ზამთარაძე (57)
**გაფრთხილება:** ყაველაშვილი, ჯაშიაშვილი, ზ. კვეკვესკირი
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**თბილისი**
**ეროვნული**
**22 აპრილი**

**დინამო 5:2 თსუ**

**დინამო:** ზოიძე, ლობჟანიძე, გუჩუა, დოდავა (აბრამიძე 74), ცქიტიშვილი, ლ. ბურდული (ა. სახვაძე 72), კვარაცხელია, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი (წიტაიშვილი 66), ხომერიკი
**თსუ:** ბათიაშვილი, ყოლბაია, ვერემჩუკი, კობიაშვილი, გემზაშვილი, კ. მელქაძე, სვანიძე (გიორგი ქორიძე 66), კანკავა (კვიტატიანი 46), მაზიაშვილი, როსტიაშვილი, გ. გვაზავა (რუსია 46)
0:1 ყოლბაია (7), 1:1 მუჯირი (32), 2:1 ბურდული (37), 3:1 მუჯირი (39), 4:1 ალექსიძე (45), 5:1 ხომერიკი (64), 5:2 რუსია (82)
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

# მუმუს დახმარება რად უნდა

**ვახტანგ ბზიკაძე**

უკვე მეშვიდე წუთზე ძირითადი შემადგენლობის ოთხკაცნაკლული თსუ უკიკნაძეო „დინამოს“ 1:0 უგებდა. ნუთუ ჩემპიონი ასე დაჩანაკდა, ასე დაეტყო უყიფიანობა? სათასო მარცხი შინ „დილასთან“, კალენდარული წაგება ფოთში „კოლხეთთან“... და ახლა თსუსთანაც ხიფათი უნდა შეემთხვეს?

ბურუსი მალე გაიფანტა. „დინამოს“ ძალაში ერთხელაც დარწმუნებას 25 წუთი, ჰა, ჰა, ნახევარი საათი დასჭირდა. და მიეწყო ერთმანეთს მუჯირისა და ბურდულის ფარული დარტყმები დაბალ შორეულ კუთხეში, გოლით დაგვირგვინებული მუმუსვე ჯადოქრული გოლი და უმახვილესი კუთხიდან ალექსიძის ყუმბარისებური გასროლა, ბათიაშვილს ლამის ხელი რომ მოჰგლიჯა.

„დინამომ“ 14 წუთში ოთხჯერ გაიტანა. ტაბლოც საშუალედო სასტვენიდან მოყოლებული 4:1-ს და ხუთი შ.ბ.-ს ოთხ ავტორის გვარს უჩვენებდა. ვეჭვობ, იოლად მიმხვდარიყავით, რას ნიშნავს შ.ბ. თამაშის დაწყებამდე „დინამოს“ პრესატაშე მამუკა კვარაცხელიამ ჟურნალისტებს მატჩის ოქმის ასლები გვაახლა და ეს აბრევიატურაც მასში ამოვიკითხე. კენჭი იმ ფედერაციის ბოსტანში გვისვრია, რომელსაც შეხსენება ესაჭიროება, რომ შეგდებული ბურთი (ზაბიტი მიაჩ) გოლია.

მატჩის ოქმში საინტერესოს სხვასაც ამოიკითხავდა კაცი. უფრო სწორად, „დინამოს“ ნახევარში გიორგი კიკნაძის გვარს ვერ ამოიკითხავდით. მარჯვნივ, თსუ-ს ნახევარში კი შალამბერიძის, რუსიას, კვიტატიანის და ქორიძის გვარები ძირითადი შემადგენლობის თამასის ქვეშ ეწერა. ამის მიზეზი 27 აპრილს „ბათუმთან“ სათამაშო თასის ნახევარფინალური მატჩია. ოთარ გაბელია მოერიდა წყვილგაფრთხილებიან მოთამაშეთა გამოყვანას და თავის ხიფათში ჩაგდებას. მეორე ტაიმში სტუდენტთა თავკაცს მაინც მოუწია სამი მათგანის მინდორზე შეშვება, მაგრამ ამან საქმეს ველარ უშველა — მეორე ნახევარი ხომერიკის და რუსიას გოლებით 1:1 მორჩა და თსუ ამ ჩემპიონატში დიდი ანგარიშით მარცხს ვერ ასცდა.

გუშინ „დინამოს“ ნოდარ აკობიამ უწინამძღვრა. ნურავინ გვიწყენს და ჩემპიონს უფრო ყიფიანის დროიდან წამოყოლილმა ინერციამ უშველა. ეს მატჩიც დინამოელთა ინდივიდუალურმა ლვწამ მოიგო, ვიდრე გუნდურმა თამაშმა. ეგ კი არა, თბილისელები თავს ზედმეტის უფლებასაც აძლევდნენ — სხვისი რომ არ ვთქვათ, აშვეთიაც კი დარტყმას ხომერიკისთვის მიწოდებას ამჯობინებდა. ლევანი ჩემპიონატის ბომბარდირია და ჩანს, თანაგუნდელებიც ეხმარებიან. უცნაური კია, ხომერიკს მუჯირი 2 გოლით ჩამორჩება, მაგრამ... თუმცა, მას სხვისი დახმარება (ამ სიტყვის ხომერიკისეული გაგებით) ნამდვილად არ სჭირდება. სიახლე „დინამოს“ ძირითადში კვარაცხელიას და მცველად გარდაქმნილი ბურდულის დაყენება იყო. კვარაცხელიასი რა მოგახსენოთ და, ლადო ბურდული კი ნამდვილად ჩემპიონატის აღმოჩენაა.



დავით მუჯირმა ჩვეულად ითამაშა და დიდებული გოლებიც გაიტანა

ზესტაფონი
ცენტრალური
22 აპრილი

**მარგვეთი 1:4 ბათუმი**

**მარგვეთი:** ნიქაბერიძე, გოგაძე, ჟვანია, თ. გაბრიჭიძე, კაკაბაძე, თხელიძე (ბოგვერაძე 51), ქურციკიძე, მალალურაძე, მუმლაძე, მაღრაძე, შავგულიძე
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე (აფხაზავა 49), თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე, ღლონტი
0:1 ი. მახარაძე (35), 0:2 ღლონტი (43), 0:3 ი. მახარაძე (47), 0:4 თორლაშვილი (65), 1:4 მაღრაძე (86)
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

**ბესიკ ჯანგავაძე** ზესტაფონიდან

თამაში საკმაოდ დაბალ ტემპში დაიწყო. ეტყობოდა, სტუმრები ფრთხილობდნენ, მოწინააღმდეგე გუნდიდან მათთვის ნაცნობი ხომ მხოლოდ გაბრიჭიძე იყო. ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა „მარგვეთმა“ წინა ტურში რომ ზუგდიდელები გაამწარა, ეს ბათუმელებს კარგად ახსოვდათ და თავიანთთვის ხელსაყრელ დაბალ ტემპში მეტოქეს ზვერავდნენ. ასე გაგრძელდა თითქმის ოცი წუთს. ზესტაფონლებმა სტუმრებს თავი ვერაფრით მოაწონეს.

ტაიმის შუაწელიდან სტუმრებმა ტემპს უმატეს, თავბრუდამხვევი, სწრაფი და ლამაზი კომბინაციებით მეტოქე საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს და თითქმის ყოველი ორი წუთის შუალედით ზესტაფონელთა კარს ხიფათით ემუქრებოდნენ. 22-ე წუთზე ხელსაყრელ პოზიციაში

# რეპეტიცია არ შედგა

მყოფმა მაჭუტაძემ ოდნავ ააცილა კარს, ორიოდ წუთში იგივე მაჭუტაძე პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ ნიქაბერიძემ ივარგა. რომ მაჭუტაძემ სამჯერაც შეძლო მეკარესთან პირისპირ გასვლა, მაგრამ ნიქაბერიძეს, რომელიც, მიუხედავად ოთხი გაშვებული ბურთისა, კარგად თამაშობდა, ვერა მოუხერხა რა.

ანგარიში კი 35-ე წუთზე გაიხსნა. ზესტაფონელთა საჯარიმოსთან ახლოს ჯარიმა დაინიშნა, კანტიძესაგან ყველა კარის მიმართულებით დარტყმას ელოდა, მან კი ზუსტად მიძებნა საჯარიმოს მარცხენა მისადგომებთან მარტოდ მყოფი ღლონტი. მისი დარტყმა ხარიხას მოხვდა, გამოვარდნილ ბურთს კი ყველაზე ადრე ვანო მახარაძემ მიუსწრო და თავით გაიტანა.

გამოუცდელობით თუ სხვა რაიმე მიზეზით, ძნელი სათქმელია, მაგრამ ზესტაფონელები თითქმის ყველა მატჩში გოლამდე თუ შემართებით ირჯებიან, მერე ფარხმალს ყრიან, საგრძნობლად ეშვებიან და შეცდომებსაც ერთი-ორად მეტს უშვებენ. ტაიმის მიწურულს ზესტაფონელთა მცველმა მალხაზ ჟვანიამ სრულიად უხიფათო სიტუაციაში მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, ზედ საჯარიმოს წინ ბურთი ღლონტს სინით მიართვა. მანაც არც აცია, არც აცხელა და შორიდან უძლიერესად დაჰკრა. ნიქაბერიძე ბურთს კი მისწვდა, მაგრამ შეჩერება ვერ შეძლო.

სამი დღის შემდეგ ეროვნული თასის განმეორებითი, მეტად პრინციპული მატჩის წინ, ზესტაფონელთა გუნდი რომ სტუმრებისათვის ვერაფერი შვილი რეპეტიტორი გამოდგა, მეორე ნახევრის დასაწყისში კიდევ უფრო თვალნათელი გახდა. ბათუმელთა პირველივე შეტევა, რომელიც მინდაძემ წამოიწყო მარცხენა ფრთიდან, ივანე მახარაძემ გოლად გარდასახა. ამ მცველის ბოლოდროინდელი წარმატებული თამაში, მის მიერ გამოვლენილი გოლის უტყუარი ალღო უთუოდ აღსანიშნავი და მისასალმებელია. იმედია, ნაკრების ხელმძღვანელები უყურადღებოდ არ დატოვებენ მას. სწორედ ასეთი შემტევი მცველების უკმარისობა იგრძნობა აგრერიგად ჩვენს ეროვნულ გუნდში.

ბათუმელთა კომბინაციებს სიმწვავე არც შემდგომში მოჰკლებია. სწორედ ამ პერიოდში გავიდა რამდენჯერმა მაჭუტაძე მეკარესთან პირისპირ, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ. სტუმართა მიერ 65-ე წუთზე გატანილ მე-4 გოლი კი პირველის სრული ასლი იყო. ამჯერად აფხაზავამ იაქტიურა, მისი დარტყმულთი ხარიხამ კარიდან არც თუ შორის აისხლიტა ისე, რომ თითქმის ზედ კარის ხაზთან ეულად მდგარმა თორლაშვილმა თავით სრულიად მშვიდად შეაგდო. ამის შემდეგ ტემპი კვლავ დაეცა. იმდენად, რომ მასპინძლებმაც შეძლეს რამდენჯერმე ხელის გამოღება. ორჯერ შავგულიძემ დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ ტოგონიძესთან ვერას გახდა.

ერთადერთი პრესტიჟის გოლი კი მაღრაძემ მატჩის მიწურულს გაიტანა, რომელიც მისი ინდივიდუალური ოსტატობის ნაყოფი უფრო იყო, ვიდრე გუნდური თამაშის.

გორი
ცენტრალური
22 აპრილი

**დილა 0:0 კოლხეთი**

**დილა:** გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, შატაკიშვილი, ციცქიშვილი (ნ. განიძე 88), მარლიშვილი (ხოხობაშვილი 89), ხორგუაშვილი, ჩიტაია (წკრიალაშვილი 46)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, მიქაბერიძე, ქუტიძე, გიორგაძე, გიორგობიანი, ღალანიძე, დ. ნოზაძე, ინალიშვილი, ე. გვასალია (ჩხენკელი 78), წივწივაძე, მ. ქობულაძე
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

**კობა ინასარიძე** გორიდან

„დინამოს“ მოულოდნელად მძლეველი გუნდები გუშინ გორში მეტოქეობდნენ და ერთმანეთს ვაჟკაცურად დაუზავდნენ. უამრავი საგოლე მომენტის მიუხედავად, გოლი მაინც ვერ ვიხილეთ. ისე, ქულათა განაწილება ფოთელებისთვის უფრო მიუღებელი იყო, ვიდრე მასპინძლებისთვის, რომლებისთვისაც აწი სულ ერთია, წააგებენ თუ მოიგებენ, რა შედეგიც უნდა ჰქონდეთ, მათ მიმართ პრეტენზიების გამოთქმა უადგილო იქნება. გორელებს ახლა სანერვიულო და სადარდებელი კვირადღის განმეორებითი სათასო მატჩილა აქვთ პირველად ძლეულ „დინამოსთან“. მთელი გორი ამისთვის ემზადება მაყურებლები ხელებს იფშვნეტენ, უუჰ, „დინამოს“ შავ დღეს დავაყრითო, ფე-

# უარი ჩემპიონატს!

ხბურთელები ძალებს ზოგავენ, მწვრთნელები ათასნაირ ტაქტიკურ ვარიანტს ამუშავებენ, რომელთაგან ერთერთი თბილისელებთან გამოადგებათ, აქტივისები კი ხალხს მოუწოდებენ, თქვენი ჭირიმე, კვირას ბილეთი ერთი ლარი ეღირება და ქალაქისა თუ კლუბის ხელმძღვანელთა თხოვნაა, უბილეთოდ სტადიონზე შემოღწევას ნუ ეცდებით, არავითარი შეღავათი, არც ბავშვებს, არც ვეტერანებს, ერთი გამონაკლისი რომ დავუშვათ, მერე სხვაც მოითხოვსო — ასე მოუწოდებენ ქომაგთ სტადიონებისკენ, სადაც თასის ნახევარფინალის დროს ანშლაგია მოსალოდნელი. მოკლედ, „დილა“ თასისთვის ემზადება და ჩემპიონატი უკვე ნაკლებად აინტერესებს. გუშინ მოუკლავთ სირბილით მაინცდამაინც თავი. თუმცა, იმდენი კი მოახერხეს, რომ ვერცხლის მედლების კანდიდატს ორი ქულა დასცინცლეს. შესაძლოა, ეს ფრე გადამწყვეტიც გამოდგეს კოლხთათვის, „ბათუმმა“ ხომ ზესტაფონში იმარჯვა და ფოთელებთან ქულიანი სხვაობა სამამდე გაზარდა. ვერც „ტორპედომ“ მოიგო, თორემ მაშინ გენახათ ფოთელთა ამბავი, იმერლების კუდში რომ მოექცეოდნენ.

მთელი მატჩის განმავლობაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს „კოლხეთს“ გამარჯვება არ უნდოდა. არა, შეგნებულად არაფერი გაუფუჭებიათ, არც გორელებს დაუთმიათ მტკაველი და არბიტრიც ობიექტურად მსაჯობდა, უბრალოდ, სტუმრებმა ჭანტურიას ხუთჯერ ისეთი სიტუაციებიდან დაუმიზნეს ბურთი და ასპროცენტიანი საგოლე მომენტები გააცუდეს, ნამდვილად იმსახურებდნენ და ალალიც იქნებოდა, საკუთარ კარში მიეღოთ გოლი. თუმცა, საბოლოო შედეგი მაინც ლოგიკურია, რადგან „დილაც“ ხშირად უშვებდა ხელიდან ხელსაყრელ მომენტებს. მათ მატჩის დასაწყისშივე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ მარლიშვილმა და ხორგუაშვილმა თითქმის იგივე გააკეთეს, რაც თავის დროზე ორჯერ წივწივაძემ, ინალიშვილმა, ორჯერვე ნოზაძემ — ბურთი ქვაჩახიას ვერ ააცილეს. ისე, კაცმა რომ თქვას, ორივე გუნდში საუკეთესონი მეკარეები იყვნენ, განსაკუთრებით ჭანტურია, თავდამსხმელთა ცოდვების გარდა, სამ-ოთხჯერ თავად ივაჟკაცა, ინალიშვილი კი, სულაც მასთან პირისპირ გასული, უგოლოდ მიატრიალა უკანვე. ერთი სიტყვით, მატჩი გამოუყენებელი მომენტებისა გახლდათ, ორივე გუნდს შეეძლო მოგება, მაგრამ... ყველაფერი უნებლიედ მოხდა, უაზრობა იქნება, კაცმა თქვას, დადგმული სპექტაკლი იყოო. თუ ვცდებით, მაშინ აფერუმ ფეხბურთელთა მსახიობობას. ეს ხომ ქართული კლუბებისთვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულოა — მათ ისიც არ ძალუძთ, არა შეიმჩნიონ. თუმცა გამორიცხულიც არაფერია.

წყალტუბო
„26 მაისი“
22 აპრილი

**სამგურალი 1:0 სიონი**

**სამგურალი:** სტურუა, გ. ჯანელიძე, გ. თევზაძე, შ. ღონღაძე, ჭელიძე, ძაგნიძე (ფრანგიშვილი 81), მოსიკაშვილი (დარსაძე 74), ფხაკაძე, ი. ხაჭაპურიძე (ჯავახაძე 54), ზ. ქუთათელაძე, თევდორაძე
**სიონი:** დალაქიშვილი (დ. ბიწაძე 23), დ. ბერიძე, შაკიაშვილი (გ. ჩომახიძე 46), ყიფშიძე, ტარტარაშვილი, მ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, გ. ჯაფარიძე, ტყავაძე (თვალაბეიშვილი 50), ჯ. წიკლაური, ლ. გაგუა
1:0 თევდორაძე (8)
**მსაჯი:** გ. ასკაროღლი (ქარელი)

**იუზა კაციტაძე** წყალტუბოდან

მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით ამ მატჩში უშეღავათო ბრძოლა იყო მოსალოდნელი. „სიონსაც“ და „სამგურალსაც“ სხვა არაფერი დარჩენიათ, ახლა ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად თუ ირჯებიან. ბოლნისელებს ეს საქმე უკეთ გამოსდით. მათ ხუთქულიანი ხელოვნური დეფიციტიც დაფარეს და, ალბათ, არც სამშვიდობოს გასვლა გაუჭირდებათ. წყალტუბოელები უფრო ცუდ დღეში არიან, მეორე წრეში ძალიან მოისუსტებენ. გამტანებს თავი დავანებოთ, მათ

# შენს ნახვას?!

კარში დამრტყმელებიც შემოელიათ. მერამდენედ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ „სამგურალს“ გასული წლის 31 ოქტომბრის შემდეგ წყალტუბოში, საკუთარ მოედანზე ბურთიც არ გაუტანია და, თავისთავად, არც მოუგია...

განწყობილების გუნდია „სიონი“. თუ მოინდომა, ლიდერს წააქცევს, თუ არა და... არა, გუშინ ბოლნისელებს მთლად უხასიათოდაც არ უთამაშიათ, მაგრამ ფაქტია, მასპინძლებს ნანატრი სამი ქულის მოსაპოვებლად დიდი ოფლის ღვრა არ დასჭირვებიათ. დიახ, გუშინ „26 მაისზე“ მაყურებლები ღირსშესანიშნავი მოვლენის მომსწრენი გახდნენ — „სამგურალმა“, როგორც იქნა, გაიტანა. ეს ასე მოხდა: სტუმრებმა საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან თამაშის წესი დაარღვიეს. კარამდე დაახლოებით 20 მეტრი იქნებოდა, დასარტყმელად ერთდროულად ორი წყალტუბოელი — ჯანელიძე და თევდორაძე მოემზადა. პირველმა მხოლოდ დარტყმის იმიტაცია გვიჩვენა, თევდორაძემ კი დაჰკრა და ბურთი დალაქიშვილისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში გაგზავნა. გოლი მართლაც ლამაზი გამოდგა. სხვა რამ საყურადღებო შესვენებამდე აღარაფერი იყო, თუ იმ ორ ეპიზოდს არ ჩავთვლით, როცა ტყავაძე და გოგოლაძე გაუმართლებლად შეყოვნდნენ სტურუას კარში დარტყმისას და ამით „სამგურალს“ საფრთხე აცილეს.

მეორე ტაიმში თამაში საცქერლადაც არ ღირდა. სტუმრები აქტიურობდნენ, მაგრამ არც იმდენად, რომ მასპინძლებს პრობლემები შეექმნათ. ერთხელ იყო მხოლოდ, სამხარაძის შორიდან გასროლილმა წყალტუბოელთა კარის ძელს რომ გაჰკრა. „სიონის“ ლიდერმა ტყავაძემ ხუთი წუთიც გაძლო მოედანზე, მერე კი ტრავმა მოიმიზეზა და შეცვლა ითხოვა. ბუბას გარეშე დარჩენილი სიონელები სამ-ოთხჯერ გამოეცხადნენ „სამგურალს“ საჯარიმოში ისე, რომ სახეირო არაფერი გაუკეთებიათ. დიდად არც მასპინძლებს შეუწუხებიათ თავი. ისინი არც ახალგაზრდა ქუთათელაძის მიერ გატანილმა, მაგრამ არბიტრის მიერ არჩათვლილმა გოლმა აალელვა (ასკაროღლიმ, დარტყმამდე ემზარმა ხელით ითამაშაო), თითქოს იცოდნენ, რომ გამარჯვება მაინც მათ დარჩებოდათ.

უფულო ბოლნისელები წყალტუბოდან უქულოდ გაბრუნდნენ, თანაც, თუ უფროსობა ვალს არ გაგვისტუმრებს „დინამოსთან“ სათამაშოდ არ გავალთო — დაიქადნენ.

# სადაც მინდათ იქ მეიჩივლეთ



მერაბ ჟორდანია საგონებელშია — ჯერ არაფერი გადაუწყვეტია

სამშაბათს, 21 აპრილს, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ. მკითხველისთვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ პრესკონფერენციის ძირითადი თემა თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის გადადგომა და საერთოდ, კლუბის გარშემო ბოლო ხანს ატეხილი აჟიოტაჟი იქნებოდა. პირველად ბატონმა მერაბმა სწორედ ამის თაობაზე ილაპარაკა, აღნიშნა, რომ „დინამოს“ ირგვლივ შექმნილმა არაჯანსაღმა ატმოსფერომ ერთობ უარყოფითად იმოქმედა ყიფიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და მისივე თხოვნით კლუბის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, მიეცა მისთვის დასვენების საშუალება. ამასთან, ბატონი დავითისა და კლუბის თავკაცების საერთო აზრით, ამ ეტაპზე არ ღირს კლუბში სხვა სპეციალისტის მიწვევა და თბილისის „დინამო“ წლევანდელ სეზონს ნოდარ აკობიას წინამძღოლობით ჩაამთავრებს. ყიფიანის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად პრეზიდენტმა მცხეთაში, თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩისას მომხდარი ინციდენტი და შემდგომში გამოწვეული რეზონანსი დაასახელა. კერძოდ, იმერეთის გუბერნატორის თემურ შაშიაშვილის რეპლიკა, ყიფიანს მეტი ეკუთვნოდაო. რაღა თქმა უნდა, ასეთი უპატივცემლობა ნებისმიერ თავმოყვარე ადამიანს შეულახავს ღირსებას და ამიტომ, როდესაც საქმე ეხება საფეხბურთო სამყაროში ამხელა მასშტაბის ფიგურას, ყოველმა ჩვენგანმა, გუბერნატორი იქნება, ჟურნალისტი თუ ჩვეულებრივი გულშემატკივარი, ცოტა ღრმად უნდა გავაანალიზოთ, რას ვამბობთ და რა მოჰყვება ჩვენს ნათქვამს. ასეა თუ ისე, ბატონი მერაბის თქმით, დავით ყიფიანი სტრესულ მდგომარეობაშია და საოცრად სწყდება გული იმაზე, რომ მიიღო ის, რასაც არ იმსახურებდა. ამასთან კლუბის პრეზიდენტმა უარყო ხმები, თითქოსდა ყიფიანის გადადგომის მიზეზი მათ შორის არსებული უთანხმოება იყო.

ამის შემდგომ მერაბ ჟორდანიას ჟურნალისტების კითხვებზე მოუწია პასუხის გაცემამ. კლუბის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ საუბრისას მან აღნიშნა, რომ ყიფიანის წასვლამ საკმაოდ უარყოფითად იმოქმედა მოთამაშეთა განწყობაზე, რის გამოც საგრძნობლად დაქვეითდა თამაშის ხარისხი და გუნდმა 23-ე ტურში ფოთის „კოლხეთთან“ წააგო. ამ რთულ ვითარებას ისიც დაემატა, რომ „დინამოს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, მათ შორის ეროვნული ნაკრების კანდიდატები კინაძე და ცქიტიშვილი ველარ დგანან მოწოდების სიმაღლეზე და თუ ისინი ვერ გაიცნობიერებენ, რას ნიშნავს თბილისის დინამოელობა, მათ აუცილებლად დააყენებენ ტრანსფერზე.

შემდგომ საუბარი გაგრძელდა საქართველოს ჩემპიონატის კატასტროფულად დაბალ დონესა და ამის ფონზე „დინამოს“ მარადიულ ჩემპიონობაზე. კლუბის პრეზიდენტის აზრით, ამ არასახარბიელო ვითარების გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაუმჯობესდება ჩვენი ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ფინანსური მდგომარეობა. ამას მოჰყვება საქართველოდან სხვა ქვეყნებში სათამაშოდ წამსვლელ ფეხბურთელთა რაოდენობის შემცირება. შესაბამისად, ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდთა ოდენობა და კონკურენციაც საგრძნობლად გაიზრდება.

სამომავლო გეგმებზე საუბრისას, მერაბ ჟორდანიამ გვაუწყა, რომ არის სასიკეთო პერსპექტივები. სეზონის დამთავრებისთვის „დინამო“ სერიოზულ შევსებას ელის. უკვე გადაწყვეტილია ლევან კობიაშვილის დაბრუნება, რომელიც თურმე იმიტომ აღმოჩენილა ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გამარჯვებული გუნდის ნაცვლად მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგში“, რომ ფეხის ტრავმა აწუხებდა და მისთვის უმჯობესი იქნებოდა, ჩვეული ფორმა ზემოხსენებული კლუბის ძირითადში აღედგინა, ვიდრე დორტმუნდის „ბორუსიის“ სათადარიგოთა სკამზე მჯდარიყო. თუ რაოდენ წაადგება ეს მართლაც ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელი „დინამოს“, ყველასათვის ნათელია. შესაძლოა, კვლავ გამოჩნდეს მშობლიურ გუნდში კახი გოგიჩაიშვილი, ხოლო რაც შეეხება გიორგი დემეტრაძის სამშობლოში დაბრუნებას, ეს უკვე როტერდამის „ფეიენოორდის“ უფროსობაზეა დამოკიდებული. როგორც ცნობილია, გიორგი უკვე ველარ ხვდება ამ სახელოვანი კლუბის ძირითად შემადგენლობაში.

არის კიდევ ერთი სიახლე. ჩემპიონთა ლიგისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ საკვანძო შეკრებას თბილისელი ფეხბურთელები კიევში, იქაურ „დინამოსთან“ ერთად გაივლიან. ამასთან ერთად, გაჩნდა შანსი, რომ კიევის „დინამოდან“, რომლის ძირითადში მოხვედრაზე ერთბაშად 30-40 მოთამაშე აცხადებს პრეტენზიას, რამდენიმე ფეხბურთელი, ალბათ ისინი, ვინც კონკურენციას ვერ გაუძლებს, თბილისის „დინამოში“ გადმობარგდება, რათა დაეხმაროს ჩვენს კლუბს ევროტურნირებზე წარმატებით გამოსვლაში.

რაც შეეხება გიორგი ქინქლაძეს, ბატონი მერაბის თქმით, ყველაზე რეალური ვარიანტი სადღეისოდ მისი ამსტერდამის „აიაქსში“ გადასვლაა. არის პრემიერლიგაში მოხვედრის შესაძლებლობებიც. პირველ შემთხვევაში არსებობს გარკვეული პლუსები და მინუსები. კერძოდ, შოთა არველაძესთან შეწყვილება ძლიერ გამოადგება ჩვენს ნაკრებს, ამავდროულად, გასათვალისწინებელია ჰოლანდიის პირველობის დაბალი დონეც. ამიტომაც, „დინამოს“ პრეზიდენტი უფრო პრემიერლიგის პერსპექტივას (თუ ასეთი გამოჩნდა) ემხრობა.

კითხვაზე, აპირებს თუ არა „დინამოს“ თავკაცი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში ჩართვას, ჟორდანიამ განაცხადა, რომ თუ არჩევნებამდე გადაწყდება კლუბში და მის გარეთ არსებული პრობლემები სავსებით შესაძლებელია, მან თავისი კანდიდატურა წამოაყენოს. პრბლემებში პირველ ყოვლისა, „დინამო“ — „მრეტების“ გახმაურებული საქმე იგულისხმება. ფიფას გენერალური მდივნის მოადგილემ ფედერაციაში გამოაგზავნა ფაქსი, სადაც მითითებულია, რომ „დინამომ“ „მრეტებს“ 15 მაისამდე 875 000 ამერიკული დოლარი უნდა გადაუხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საქმე ფიფას აღმასკომს გადაეცემა.

მიუხედავად ამისა, ჟორდანიას თქმით, „დინამო“ არაფრის გადახდას აპირებს.

ბოლოს „დინამოს“ პრეზიდენტი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა დავით ყიფიანის თემას, კლუბის წინააღმდეგ მიმართულ საყოველთაო, მტრულ კამპანიას და თხოვნით მიმართა ყველას, ვისაც აღელვებს ქართული ფეხბურთისა და „დინამოს“ ბედი, ამოვუდგეთ ერთმანეთს მხარში და ერთობლივი ძალებით გადავჭრათ არსებული პრობლემები.

**დავით ძოვზირიძე**

# ბებრის ყვავილობა

WORLD SOCCER



შტევის კლასიკოსი — ოლივერ ბირჰოფი

გერმანიის ნაკრებისა და იტალიური „უდინეზეს" ფორვარდი ოლივერ ბირჰოფი „მილანში" გადადის.

„მილანელებთან შევთანხმდი და ამის შესახებ „უდინეზეს" ვაცნობე. ახლა კლუბებმა ერთმანეთში უნდა მოილაპარაკონ" — განაცხადა 29 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც ისტორიაში უკვე დაბევებული აქვს ადგილი — 1996 წელს გერმანია ევროპის ჩემპიონის ტიტულს მისი „ოქროს გოლით" დაესაკუთრა.

„მილანი" რამდენიმე თვეა თავდამსხმელს ეძებს. მან არჩევანი ბირჰოფზე შეაჩერა და ოთხწლიანი კონტრაქტი შესთავაზა ფეხბურთელს, სატრანსფერო თანხად კი 12 მილიონი დოლარი აქვს შემზადებული. თავის მხრივ, ბირჰოფის ხელშეკრულებას „უდინეზესთან" 2000 წლამდე აქვს მოქმედების ვადა.

„მინდოდა სამომავლო გეგმები მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მომეყვანა წესრიგში. თითქმის 30 წლისა გახლავართ და ალბათ, დიდ საქმესთან შეჭიდების ბოლო შანსი მაქვს" — დასძინა ბირჰოფმა, რომელსაც იტალიურ სერია A-ში უკვე 99 გოლი აქვს გატანილი, მიმდინარე სეზონში შეგდებული 21-ის ჩათვლით.

ბირჰოფის აზრით, იტალიაში გატარებული 7 წლის შედეგად იგი ამ ქვეყნის ფეხბურთს უკეთაა შეგუებული, ვიდრე მშობლიურ მაგრამ მივიწყებულ გერმანულს. არც ისაა უმნიშვნელო ამბავი, რომ ამ თავდამსხმელის შეძენით მაინცდამაინც ერთი გერმანული კლუბიც არ დაინტერესებულა.

გთავაზობთ ოლივერ ბირჰოფის ინტერვიუს, რომელიც ზემოხსენებულ ამბამდე ერთი ხნით ადრე „უორლდ სოკერში" გამოქვეყნდა.

**— მიუხედავად იმისა, რომ „უდინეზეში" საუცხოოდ თამაშობდით, ბოლო 18 თვის მანძილზე არ წყდებოდა საუბარი თქვენი ინგლისში შესაძლო გადასვლის თაობაზე.**

— დიახ, მაგრამ ეს მხოლოდ ჭორები იყო. ერთადერთი გუნდი, რეალური წინადადებით რომ მომმართა, „ბლექბერნი" გახლდათ, თუმცა მე ხელადვე შორს დავიჭირე. „ბლექბერნს" ცხრილში ბოლო ადგილი ეკავა და მათთან შეერთებას აზრი არ ჰქონდა.

**— თქვენ სხვა გუნდებიც ხომ გიწვევდნენ „იუვე", „ლიდსი", „პარმა"...**

— ბოლო წლებში ბევრი ითქვა, მაგრამ საქმიანი არაფერი ყოფილა. ვინ იტყვის უარს დიდ გუნდში თამაშზე? ვგონებ მე ასეთში გადასვლა დავიმსახურე. უკვე 29 წლისა გახლავართ და რომელიმე მნიშვნელოვანი ჯილდოს მოპოვების ბოლო შანსი თუ მომეცემა.

**— ჯერჯერობით მაინც „უდინეზეში" ხართ.**

— მართალია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატამდე მინდა ეს საქმე მოვაგვარო. მიყვარს ყოველ კვირა დღეს მოედანზე ყოფნა. „უდინეზეში" დაფასებული კაცი ვარ, უბრალო მოთამაშედ არ ვგრძნობ თავს. აი, ჩემპიონის ტიტული რომ მოგვეპოვებინა, არსად წავიდოდი.

**— მართლა ღირხართ 16 მილიონი?**

— ცხადია! ევრო 96-ის ფინალში ორი გოლი რომ არ გამეტანა, ფასი გაცილებით დაბალი მექნებოდა, მაგრამ ხომ ხედავთ, ერთ გოლს ცხოვრების შეცვლა შეუძლია.

**— გული ხომ არ გწყდებათ აღიარებას კარიერის მიწურულს რომ მიაღწიეთ?**

— თქვენ თვლით, რომ გულის დაწყვეტას რაიმე სარგებლის მოტანა შეუძლია? ვიცი, რომ წარსულში რაღაც შეცდომები დავუშვი, მაგრამ ახლა ამაზე ნერვიულობას აზრი არ აქვს. „ასკოლიში" რომ გადავედი, მაშინ მივხვდი, რომ არასწორად მოვიქეცი.

**— იქ რატომღა გადახვედით?**

— „ინტერმა" 1,6 მილიონად მიყიდა, მაგრამ იმხნად, იქ მთავარი ფორვარდი კლინსმანი გახლდათ, ჰოდა მეც, „ასკოლიში" გამყიდეს. მაშინ მეგონა „ასკოლიში" მთელს ჩემს ნიჭს გამოვამჟღავნებდი, მაგრამ შევმცდარვარ. შემდეგ წელიწადს „ინტერს" ჩემი დაბრუნება აღარ მოუნდა და „ასკოლიში" მომიხდა დარჩენა, სადაც ბოლო სეზონში 20 გოლი გავიტანე.

**— 1996 წელს ევროპის ჩემპიონატზე, ხუთ თამაშში სათადარიგო იყავით. ფინალში რომ არ გაეყვანეთ მოედანზე, ბერტი ფოგტსს გაებუტებოდით?**

— ახსნა-განმარტებას მოვთხოვდი. ისე, მეორე მხრივ გუნდში ახალმისულს სხვათა დარი გამოცდილება არ მქონდა. ნაკრებში პირველი შეხვედრა ხომ ევრო 96-მდე რამდენიმე თვით ადრე ჩავატარე.

**— შეგიძლიათ გაგვაგებინოთ, რატომ გააქვს ფრედი ბობიჩს ამდენი გოლი „შტუტგარტში", ნაკრებში კი არა?**

— „შტუტგარტი" შემტევი გუნდია, სადაც მთელი შემადგენლობა ბობიჩისთვის საგოლე მომენტის შექმნას ცდილობს. საერთოდაც, ბუნდესლიგაში ბევრს უტევენ, ნაკრებში კი ცოტა სხვაგვარადაა საქმე, ნაკრები კონტრშეტევას ამჯობინებს.

**— იურგენ კლინსმანთან როგორ ხართ შეთამაშებული?**

— პრობლემა არ მაქვს. ის გზას იკვლევს, მე კი მის მოძრაობას მივყვები.

**— მათიას ზამერი კარგი მწვრთნელი გახდება?**

— დიახ, მე ასე ვფიქრობ. ნაკრებში მან ლოთარ მათეუსი შეცვალა ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ევრო 96-ზე გერმანია მართლაც უძლიერესი გუნდი იყო?**

— რასაკვირველია! იქნებ თვალის გასახარ ფეხბურთს ვერ ვთამაშობდით, მაგრამ მოგება გვინდოდა და მტკიცედ მივიწევდით მიზნისკენ.

**— თქვენს გამარჯვებას რა უმაგრებდა ყველაზე მეტად ზურგს?**

— ძალთა კონცენტრაცია.

**— მცველთაგან ვინ იყო ყველაზე ძლიერი?**

— იურგენ კოლერი. მის სიმტკიცეს ვერაფერი არყევდა.

**— მომავლის გერმანელი ვარსკვლავი ვინ არის?**

— ლარს რიკენი. ის უთუოდ დიდი ფეხბურთელი გახდება.

**— სანამ იტალიაში კრისტიან ციგე ჩამოვიდოდა, თქვენ ერთადერთი გერმანელი იყავით. რატომ?**

— მოთამაშეთა მთელი ჯგუფი გერმანიაში დაბრუნდა, დანარჩენები კარიერას ასრულებდნენ. ამიტომაც დავრჩი მარტო.

**— ბოლოხანს ყველა ინგლისში მირბის. თქვენ რითი ხსნით ამას?**

— ზოგი ფეხბურთელი ამას ფულისთვის სჩადის, სხვანი იმიტომ, რომ იტალიაში ხალხს ველარ აკმაყოფილებენ თავიანთი თამაშით, მავანთათვის კი ეს ახლის ძიება, თავგადასავალია. მეც სიამოვნებით წავიდოდი ინგლისში, სადაც ევრო 96-ის დღეებში საუცხოო ატმოსფეროთ შევნიშნე.

**— „მანჩესტერ იუნაიტედზე" რას იტყოდით?**

—დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი „ოლდ ტრეფორდზე". წითლებს ჩინებული გუნდი და ფანები ჰყავთ.

**— დღეს თქვენნაირი თავდამსხმელის მოძიება ძნელია. კლასიკურ სტილში თამაშობთ.**

— დიახ, კლასიკურად თამაში მართლაც გაძნელდა, რადგან დღეს უმეტესობა სისწრაფეზე ამახვილებს ყურადღებას. მეც ბევრს დავრბივარ და ხშირად ლონემიხდილი ვამთავრებ თამაშს. სხვა საქმეა, როცა გუნდში ორი თავდამსხმელია. მაშინ ყველაფერი იოლდება.

**— თქვენი საუკეთესო თვისება რა არის?**

— საჭირო დროს საჭირო ადგილას ყოფნა.

**— უარესი თვისება?**

— სისხარტე მაკლია.

**— ფეხბურთელის კარიერას რომ დაასრულებთ, რა გზას ეწევით?**

— ფეხბურთში დავრჩები, თუმცა ამგვარი გეგმების დაწყობა ჯერ ნაადრევი მგონია.

თარგმნა პაპუნა ძეძიამ

**უკრაინის ჩემპიონატის 21-ე ტური. პრიკარპატია — დინამო 0:3, ზორკა — შახტიორი 0:0, დნეპრი — მეტალურგი ზაპოროჟიე 1:0, კარპატი — მეტალურგი მარიუპოლი 4:1, ტორპედო — ტავრია 4:3, მეტალურგი დონეცკი — ნივა 3:0, ჩერნომორეცი — ვორსკლა 2:2, ცსკა — კრივბასი 2:1. 48 ქულით პირველ ადგილზეა „შახტიორი, 46 ქულით მეორეზეა კიევის „დინამო", ხოლო მესამეზე 43-ქულიანი „დნეპრია".**

**იტალიური** „ფიორენტინა" მწვრთნელის თანამდებობას ალბათ ჯოვანი ტრაპატონის შესთავაზებს. „კორიერე დელო სპორტის" თქმით, მიუნხენის „ბაიერნიდან" მიმავალ 59 წლის ტრაპატონის სერია A-ს კლუბი მოუთმენლად ელის. მისი გავლენიანი პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი აღარ აპირებს ახლანდელ მწვრთნელთან ალბერტო მალესანისთან კონტრაქტის გაგრძელებას. მის მოთმინებას საბოლოო წერტილი ბოლო ტურში „ატალანტასთან" 0:1 წაგებამ დაუსვა და ახლა იტალიური ფეხბურთის დიდი მაესტროს იმედი აქვს.

**ინგლისური „არსენალის" ვეტერანმა ფორვარდმა იან რაიტმა განაცხადა: „მე მიყვარს „არსენალი", მსურს ამ კლუბში დარჩენა და ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნება". 34 წლის ზანგი ინგლისელი დიდი ხანი არაა, რაც ლონდონური კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მაგრამ მას მერე, სამ თვეში თიაქარზე, საზარდულსა და მუხლზე იმკურნალა და შესაბამისად თავიდან ბოლომდე იანვრის მერე აღარ უთამაშია. მიუხედავად ამისა, ინგლისის ნაკრების მწვრთნელს გლენ ჰოდლს იგი პორტუგალიასთან ამხანაგური მატჩისთვის ჰყავდა გამოძახებული. სხვათა შორის, რაიტის შეძენა ამ სეზონში პორტუგალიურმა „ბენფიკამ" ისურვა, მაგრამ ფეხბურთელმა უარი თქვა, რადგან იმედს არ კარგავს, რომ კონტრაქტით დარჩენილ ორ წელიწადში კვლავ შესძლებს „ჰაიბერიზე" ითამაშოს დიდი ფეხბურთი.**

**ესპანური** რადიოს „კადენა სერის" ცნობით, „რეალ ბეტისს" ჰოლანდიელი თავდამსხმელის პატრიკ კლუივერტის ყიდვა სურს. ამაზე მეტი არაფერი თქმულა. როგორც ცნობილია, კლუივერტი „მილანში" თამაშობს. აქ იგი 1997 წლის თებერვალში ამსტერდამის „აიაქსიდან" გადავიდა, მაგრამ ახალ გარემოს ვერ შეეწყო და პრესისა და გულშემატკივართა კრიტიკის ობიექტად იქცა. თავის მხრივ „მილანის" ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, კლუივერტის გაყიდვას არ აპირებენ. გაზეთმა „მარკამ" კი საფრანგეთის ჩემპიონატის ბომბარდირის, სტეფან გივარშის „დეპორტივო ლა კორუნიაში" გადასვლის ამბავი გაავრცელა. „დეპორტივოს" დირექტორატის წევრებმა „მარკას" კორესპონდენტს განუცხადეს, რომ გივარშის წარმომადგენლებთან შეთანხმება უკვე მიღწეულია, თუმცა რაიმე საბუთზე ჯერ ხელი არ მოუწერიათ. ტრანსფერი ესპანურ კლუბს 10 მილიონი დოლარი უჯდება, მაგრამ არის პრობლემაც: გივარშის აგენტი მიშელ ბაზილევიჩი ფიფას ლიცენზიას არ ფლობს. ამბობენ, რომ „ოსერის" თავდამსხმელით რამდენიმე ინგლისური კლუბი, შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსი" და ფრანგული „პარი სენ ჟერმენიც" არიან დაინტერესებული. რაც შეეხება მადრიდის „ატლეტიკოში" ვერმოთამაშე პორტუგალიელ პაულუ ფუტრეს, იგი ექვსი თვით იაპონიის „ჯეი ლიგაში", კონკრეტულად კი „იოკოჰამა ფლუგელზში" გადადის. ფუტრე 32 წლისაა, თავისი ქვეყნის ნაკრებში 44 შეხვედრა აქვს ჩატარებული. მის ნახევარწლიან გასესხებაში „ატლეტიკო" 660 ათას დოლარს მიიღებს. „იოკოჰამა ფლუგელზის" მწვრთნელი კი გახლავთ „ბარსელონას" ყოფილი მოთამაშე კარლოს რექსაჩი. „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილმა განაცხადა, რომ იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ ფუტრე თუ ინებებს, გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელად აიყვანენ. აღსანიშნავია, რომ ხილი ხილს გუნდში „ატლეტიკოს" ახლანდელი თავკაცის რადომირ ანტიჩის გაშვება და მის ნაცვლად „მილანისა" და იტალიის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელის არიგო საკის მიწვევა აქვს ამოჩრილი.

## ფეხბურთის რუკასთან



**ისრაელში ჰაიფას „მაკაბი" და იერუსალიმის „ჰაპოელი" თასის ფინალში გავიდნენ. 12 მაისს დანიშნულ გადამწყვეტ შეხვედრაში ფავორიტად ჰაიფას გუნდია მიჩნეული, რადგან ჯერ ერთი, ჩინებულ ფორმაშია და მეორეც, ნახევარფინალში აშდოდის „ირონის" 5:0 მოუგო. „ირონის", თამაშის განმავლობაში ორი ფეხბურთელი გაუშვეს მოედნიდან. რაც შეეხება „ჰაპოელს", მან ბეერშაბელ სეხნიას 2:1 აჯობა.**

**იტალიური** „იუვენტუსი" ვგონებ, ჩემპიონთა თასს მოიგებს. მართალია ფინალში ყველაფერია შესაძლებელი და თან მადრიდის „რეალს" საუცხოო ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ასევე დიდებული მოთამაშეები ჰყავთ ტურინელებსაც, რომელთაც გუნდური სტრუქტურა აქვთ გაცილებით დახვეწილი — განაცხადა „ბარსელონას" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა.

**შვეიცარიელმა ზეპ ბლატერმა ფიფას პრეზიდენტის სავარძელში ჩასაბრძანებლად დიდი საარჩევნო კამპანია გააჩაღა. მან ინტერნეტში საკუთარი ვებსაიტი www\\jsblatter.com გახსნა. მისი ნაბიჯი მაინც საპასუხო გამოდგა. კონკურენტმა, შვედმა ლენარტ იუჰანსონმა ერთი კვირით ადრე შექმნა www\\fifaelection.com ცნობილი გახდა, რომ ბლატერმა გაინაღდა ჰონდურასის ფეხბურთის ასოციაციის ხმაც. მისმა პრეზიდენტმა როდრიგო კასტილიომ განაცხადა: „ბლატერს მხარს იმიტომ ვუჭერთ, რომ მას დიდი ხანია ურთიერთობა აქვს კონკაკაფთან (ცენტრალური ამერიკისა და კარიბეთის ფეხბურთის კონფედერაცია), რომელსაც დახმარებას ჰპირდება". არჩევნები 8 ივნისს პარიზში გაიმართება, მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნამდე ორი დღით ადრე.**

**ფრანგი** ვარსკვლავყოფილი, 1991 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ჟან პიერ პაპენი შეიძლება ინგლისურ „ფულემში" გადავიდეს. „ფულემი" მეორე დივიზიონის გუნდია და მას ცნობილი კევინ კიგანი წვრთნის. პაპენის კონტრაქტი „ბორდოსთან" მაისის მიწურულს ილევა. „მეგონა შევძლებდი სათადარიგო ფეხბურთელის როლთან შეგუებას, მაგრამ ამაოდ. მოედანზე 20 წუთით შესვლა ძალიან ცოტაა და თუ ფეხბურთს არ შევეშვი, მსურს რეგულარულად ვითამაშო. ალბათ ერთ წელიწადს კიდევ გავუძლებ დიდ სარბიელს. ბარემ ბოლომდე დავიხარჯები, არადა „ბორდოდან" წასვლაც არ მეხალისება, აქ თავს საუცხოოდ ვგრძნობ" — თქვა პაპენმა.

**ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" ეტყობა ფრანგულ „ლანსში" მოთამაშე კამერუნელ ფეხბურთელს მარკ-ვივიენ ფოეს უპირებს ყიდვას. ამის შესახებ „ლანსის" პრეზიდენტმა ჟერვაის მარტელმა ისაუბრა. „ვიცი მანჩესტერელებს ფოეს შეძენა სურთ" — თქვა მარტელმა — „ვიცი, ამ ინგლისური კლუბის დირექტორები და მწვრთნელი რამდენჯერმე იყვნენ ჩამოსულნი ლანსში, რათა კამერუნელი მცველის თამაში ენახათ". მარტელის თქმით „მანჩესტერ იუნაიტედს" მისი გუნდის რამდენიმე სხვა ფეხბურთელიც ჰყავს შეთვალიერებული და ერთ-ერთი მათგანია ნახევარმცველი ფრედერიკ დეჰუ. დეჰუს „ლანსი" ვერ შეელევა, აი, ფოეზე კი როგორც ჩანს მოლაპარაკებები უთუოდ გაიმართება. შეგახსენებთ, რომ „ლანსს" საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატში პირველ ან მეორე ადგილზე გასვლა გარანტირებული აქვს ანუ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგას დააჭაშნიკებს. თავის მხრივ „იუნაიტედის" პრეს მდივანმა განაცხადა, რომ ფოეს შესახებ არასდროს სმენია.**

**ნიგერიის** ნაკრების მოთამაშეები უჩე ოკეჩუკვუ და ოგუსტინ ოკოჩა მალე თურქებად დაეწერებიან — განაცხადა თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეს მდივანმა. „ფენერბაჰჩეში" მოთამაშე წყვილი ამ ქვეყნის მოქალაქეობას სტამბოლის კლუბის ხათრით იღებს, რათა მათ საშუალება ჰქონდეს კიდევ ოთხი უცხოელი დაიმატოს. პასპორტის შეცვლა მას სახელებსაც შეცვლის: ოკოჩა მუჰამედი გახდება, ოკეჩუკვუ კი რაჰიმ უჩე. ოფიციალურად ისინი 7 მაისს გათურქდებიან.


**„სარბიელი" სათანამშრომლოდ იწვევს**

ჟურნალისტებს, გამოცდილთ და დამწყებთ, რომელთაც სურთ წერონ ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე, ჭიდაობასა და ჭადრაკზე;

მთარგმნელებს, გამოცდილთ და დამწყებთ, ინგლისურიდან გადმოსაქართულებლად.

მსურველები შემოგვიარონ ხუთშაბათს 12-დან 15 საათამდე ან [illegible] 14-დან 16 საათამდე

ტელ: 39 48 29 ან 39 40 08;

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, მეორე კორპუსი, მე-4 სართული

# კარგი, ცუდი, ბოროტი

კვლავ მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრები ბილეთების ამბავი. ლამის დაუსრულებელ ისტორიად ქცეული მწარე რეალობა. რა გახდა ბილეთების გადანაწილება, ასე რომ გაჭინაურდა. საქმე რომ შეფერხებულიყო, ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ ყველაზე საოცარი ისაა, რომ პრობლემით ევროკავშირი და ევროპარლამენტიც დაინტერესდა. კურიოზი თუ გინდათ, ესაა — ვერგანაწილებულ ბილეთებს დიპლომატები გაიყოფენ.

სიტუაცია სულ უფრო იხლართება, ამასთანავე სასაცილოც ხდება. ისე, მსოფლიოს ჩემპიონატზე დასწრება უფასო რომ ყოფილიყო, იქნებ ამხელა ამბავი არც ატეხილიყო, მაგრამ...

— სამწუხაროა, რომ ჩვენმა შეგონებამ მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტზე გავლენა ვერ მოახდინა. ალბათ, ხვდებიან, დამნაშავენი რომ არიან, მაგრამ აღიარება არ სურთ. ეს კი საქმეს ართულებს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ცდა უშედეგოდ დასრულდა, ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ. რკინის ქალამნებს ჩავიცმევთ და სამართალს დავადგენთ! — ევროპარლამენტის გერმანელმა წევრმა ჰანს ბრეხტმა აღშფოთება ვერ დამალა.

სამშაბათს პარიზში 30 ეპწ (ევროპარლამენტის წევრი) ჩემპიონატის ორგკომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა და ამ გადაუჭრელი პრობლემის შესახებ თითქმის ექვსი საათი ესაუბრა, მაგრამ რად გინდა? არაფერი შეცვლილა — ორგკომიტეტი თანახმაა, დარჩენილი 220 ათასი ბილეთიდან უცხოელებზე მხოლოდ 50 ათასი გაანაწილოს. დანარჩენი საფრანგეთში უნდა გაიყიდოს.

— სიტუაცია სერჯიო ლეონეს ცნობილ ფილმს „კარგი, ცუდი, ბოროტის" მაგონებს. კარგნი ამ შემთხვევაში გულშემატკივრები არიან, ბილეთების შეძენა და ფეხბურთის ზეიმის ნახვა რომ სურთ. ცუდი ჩვენი კომისიაა, ორგკომიტეტთან შეხვედრით ვერანაირი შედეგი რომ ვერ მოიტანა, ბოროტი კი თავად ორგკომიტეტია, ერთობ რომ გაჯიუტებულა — ბრიტანელი ლიბერალი გრემ უოტსონი შეეცადა, სიტუაცია იუმორისტულად წარმოედგინა.

სახუმარო და სასაცილო კი არაფერია. ორგკომიტეტის უდავოდ მცდარი გადაწყვეტილების (2 მილიონ 400 ათასი ბილეთის მხოლოდ 25 პროცენტი უნდა განაწილდეს სხვა ქვეყნებზე, 75 პროცენტი კი საფრანგეთში უნდა გაიყიდოს) შეცვლას არა და არ დაადგა საშველი, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში გავლენიანი ორგანიზაციებიც ჩაერივნენ.

დაპირისპირებულ მხარეთა შორის ახალი შეხვედრა და ალბათ საბოლოოც 20 მაისს გაიმართება, თუმცა გულგატეხილ გულშემატკივართა წარმომადგენლები, ანუ ეპწ-ები ბრძოლას წუთითაც რომ არ შეწყვეტენ, ამას თქმა არ უნდა.

და კიდევ. რამდენიმე დღის წინ ორგკომიტეტმა 110 ათასი ბილეთის ორიგინალური ხერხით გაყიდვა გადაწყვიტა. ბილეთის მსურველებმა გარკვეული ნომერი უნდა აკრიფონ და თუ ბედმა გაუღიმა, სანატრელ ბილეთსაც ხელთ იგდებს. ორგკომიტეტში დარეკვა დილის რვა საათიდან საღამოს ექვს საათამდე შეიძლება, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის არც მეტი, არც ნაკლები, 90 ტელეფონია (60 უცხოელთათვის, 30 ადგილობრივთათვის) გამოყოფილი, ორგკომიტეტთან დაკავშირება მაინც ჭირს.

— სულ სამი თუ ოთხი დღეა რაც ბილეთების ტელეფონით განაწილება გადავწყვიტეთ, მაგრამ ყურმილებთან მჯდომნი ძალიან გადაიღალნენ. რამდენიმე აპარატზე ავტომოპასუხეც დავაყენეთ, თუმცა იმდენად დიდი იყო ბილეთების შეძენის მსურველთა რაოდენობა, რომ ექვსი მათგანი ქსელში ჩართვიდან რამდენიმე საათში გაფუჭდა. ხანდახან ხდება და უცხოელები განსაზღვრულზე ადრეც გვიკავშირდებიან. ალბათ საფრანგეთის და მათი სამშობლოების სასაათო სარტყელში განსხვავებას ვერ ითვალისწინებენ. უცხოელთა დაუდევრობის გამო ჩვენ საკმაო პრობლემები გვექმნება, ეს კი თავად გულშემატკივრებს უბრუნდებათ. ჩვენი შეფერხების შემთხვევაში ბილეთების შეძენის შანსიც შემცირდება — როგორც ჩანს ბილეთების ტელეფონით განაწილების იდეა თავად ყურმილებთან მჯდომთ მაინც და მაინც არ მოსწონთ. ამას ერთ-ერთი მათგანის კატრინ ჟანოს სიტყვებიც მოწმობს.

## ფუტიქსის დროშით

# მეტი მეტი

დარჩა

FRANCE 98

47 დღე



— მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ძალიან მინდა, თუმც ისიც კარგად ვიცი, რომ ნაკრებში მოხვედრა ძალიან გამიჭირდება. ჩემს გარდა 34 კანდიდატია და მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ჩემთან შედარებით ახალგაზრდაა, გუნდში მოსახვედრად ბრძოლას მაინც არ შევწყვეტ. დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ასეთი შანსი აღარ მომეცემა! — „საუთჰემპტონის" თავდამსხმელი მეტ ლე ტისიეს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ძალიან კი უნდა, მაგრამ ჯერჯერობით ნაკრების კარი მისთვის ჩარაზულია.

გუშინწინ ლონდონში, ქალაქური გუნდის „ქუინზ პარკ რეინჯერსის" სტადიონ „ლოფტუს როუდზე" ინგლისის მეორე ნაკრებმა (ახალგაზრდულში არ აგერიოთ) რუსეთის მეორე გუნდს უმასპინძლა. ინგლისელებს ერთი კარგი წესი აქვთ — როცა ქვეყნის პირველი გუნდი ვინმეს უპირისპირდება, თამაშამდე ერთი დღით ადრე მეტოქეთა ახალგაზრდული, ანაც მეორე ნაკრებები შეეჭიდებიან ერთმანეთს, ანაც ინგლისელები მეორე გუნდისთვის საგანგებოდ არჩევენ სპარინგ-პარტნიორს. ინგლისის ეროვნული ნაკრების მეტოქე პორტუგალიამ ახალგაზრდული გუნდი არ იახლა, ჰოდა, ბრიტანელებმაც რუსები დაითანხმეს.

4:1 — მასპინძელთა გამარჯვება დამაჯერებელზე მეტი იყო. ინგლისის მეორე ნაკრებმა, რომლის ბურთაობასაც პირველი გუნდის თავკაცი გლენ ჰოდლიც ადევნებდა თვალ-ყურს, პირწმინდად დაჯაბნა მეტოქე. მეტ ლე ტისიემ კი ქვეყნის ნაკრებში დაბრუნებაზეც განაცხადა პრეტენზია.

— ჩვენ ლე ტისიეს დარი თავდამსხმელები გვესაჭიროება. ინგლისში ბევრი ფორვარდია, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო მათი ნაკრებში მიწვევა ვერ ხერხდება, ანაც თუ გუნდში ბომბარდირები არიან, ზოგიერთ მათგანს თამაში არ გამოსდის. სასურველი იქნება, თუ ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები დამაგვირგვინებელ ფაზებში მეტის დარად ითამაშებენ — გლენ ჰოდლის სიტყვებმა ლე ტისიეს ნაკრებში მოხვედრის იმედები გაუღვივა.

რაც შეეხება თავად მატჩს, იგი, როგორც ზემოთ ვთქვით, მასპინძელთა უცილობელი უპირატესობით წარიმართა — ინგლისის მეორენი რუსთა მეორეებს ანგრევდნენ. ლე ტისიემ სამი გოლი შეაგდო. მათგან ორი 84-ე და 90-ე წუთებზე, ანგარიში კი ლეს ფერდინანდმა გახსნა მე-2 წუთზე. რუსთა ერთადერთი საპასუხო ბურთი მაქსიმ ბუზნიკინმა შეაგდო.

მასპინძელთა შემადგენლობა ასეთი გახლდათ: უოქერი, უოტსონი (კერტისი 78), სერანტი, უილიამსი, ქუინი, კარაგერი, ბარმბი (იონსონი 78), სინკლერი (დაიერი 46), ლე ტისიე, ფერდინანდი (ფილიპსი 78), ანდერტონი (ჰენდრი 82).

სამშაბათსვე ითამაშა დიდი ბრიტანეთის სამეფოში შემავალი კიდევ ერთი ქვეყნის, შოტლანდიის მეორე ნაკრებმა. სქოთებმა ნორვეგიელებთან 1:2 წააგეს.

# ბევრი ფული

იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში ორიოდ დღის წინ, ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს ნაკრების მოთამაშეები გვარიანი თანხით დააჯილდოვონ, თუ, რა თქმა უნდა, „სკუადრა აძურა" მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავა.

— 1990 წელს, როცა ტურნირს ვუმასპინძლეთ, იტალია მესამე ადგილზე გავიდა. ოთხი წლის შემდეგ, ამერიკაში მეორენი ვიყავით. ასე რომ, წელს მსოფლიოს ჩემპიონები უნდა გავხდეთ. ცრურწმენა ცრურწმენად, მაგრამ იტალიელებს გაჩემპიონების სურვილი რომ დიდი გვაქვს, ამას თქმა არ უნდა. ჩვენი გადაწყვეტილებით, ნაკრების თითოეული მოთამაშე საკმაოდ სოლიდურ თანხას მიიღებს, თუ გუნდი ნახევარფინალში გავა. მოპოვებული ადგილის მიხედვით შემდეგ თანხაც გაიზრდება ან შემცირდება — ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლუჩანო ნიცოლა არაფერს იშურებს, რათა „სკუადრა აძურა" მისი პრეზიდენტობის დროს მეოთხედ გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი.

მაინც რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი? თუ იტალიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გაზეთ „გაძეტა დელო სპორტს" დავეყრდნობით, მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებისთვის ნაკრების თითოეული მოთამაშე 278 ათას დოლარს მიიღებს, ხოლო თუ ფინალში დამარცხდა, „მხოლოდ" 95 ათასს. ბრინჯაოს მედლების მოპოვებისთვის პრემიალური 111 ათასი დოლარით განისაზღვრება, ხოლო მხოლოდ ნახევარფინალისტად დარჩენისთვის ჯილდო 55 ათასი დოლარი იქნება.

ზემოხსენებულ სხდომას სხვებთან ერთად იტალიელი მოთამაშეების წარმომადგენელი ლუიჯი რივაც ესწრებოდა, რომელმაც პრემიების გამოცხადების შემდეგ სევდანარევი იუმორით დასძინა, ჩვენ დროს ასეთი თანხები რომ მოეცათ, მეტოქეს უბრალოდ შევაკვდებოდითო.

# სიტყვა კაცისა

რამდენიმე დღის წინ იტალიელი ნავთობის მაგნატი მასიმო მორატი ირანს სტუმრობდა და ბიზნესის საქმეებს აგვარებდა. შედეგიანად დაასრულა თუ არა მორატიმ ირანული ვიზიტი, არავინ იცის, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მისი წყალობით ირანის საფეხბურთო ნაკრებმა ძალიან იხეირა — გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთ ან ორკვირიან შეკრებას მოაწყობს იტალიაში, კერძოდ მილანის „ინტერის" საწვრთნელ ბაზა „ლა პინეტინაში".

— ირანის გუნდს დიდი მომავალი აქვს, მაგრამ თუ განვითარებაში მათ ხელი არ შევუწყეთ, იმადვე დარჩებიან, რანიც ახლა არიან. გადავწყვიტე, გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სათანადოდ მოსამზადებლად ხელი შევუწყო. ნაკრები ორიოდ კვირით „ინტერის" ბაზაზე გაიწვრთნება — მასიმო მორატის სიტყვაში ზემოთქმული კიდევ ერთხელ დამტკიცდა. ის კი, ალბათ თქვენც კარგად გახსოვთ, მულტიმილიონერი მორატი მილანის „ინტერის" პრეზიდენტია. მორატიმ ირანელებს ისიც აღუთქვა, „ინტერის" ერთ-ერთ მწვრთნელ კარლო სოლდოს თქვენთან გამოვაგზავნი, ახალგაზრდა ფეხბურთელების პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათო.

მაშ ასე, ორი კვირით იტალიაში. ვერაფერს იტყვი, შესანიშნავი გარიგებაა. ირანის ნაკრები ისეთი მნიშვნელოვანი ტურნირისთვის, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატია, იტალიაზე კარგ მოსამზადებელ ადგილს ვერც იშოვიდა.

ირანის გუნდს „ინტერის" საწვრთნელი ბაზა ალბათ სერია A-ს დასრულების შემდეგ დაეთმობა, რადგან მანამდე „ლა პინეტინში" თავად ინტერელები მოემზადებიან. „ლა პინეტინა" მილანსა და კომოს ტბის შუაში მდებარეობს, ძალიან მყუდრო და ლამაზ ადგილას.

ბაზაზე წვრთნის გარდა ირანელები რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრასაც გამართავენ ადგილობრივ კლუბებთან.

# წყეული მარჯვენა

10 აპრილს პრემიერლიგის მორიგი ტურის ცენტრალური შეხვედრა შედგა. „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ლივერპულს" უმასპინძლა. მანჩესტერელთა ნორვეგიელ მცველ რონი იონსენს და სტუმართა თავდამსხმელ მაიკლ ოუენს ამ შეხვედრის დასრულება არ ეწერათ — პირველი ტრავმის გამო გამოეთიშა თამაშს, ოუენი კი გააძევეს. ლივერპულელი ფორვარდი იონსენს ეუხეშა და წითელმა ბარათმაც არ დაახანა.

მას შემდეგ ორი კვირა გავიდა. გუშინწინ, სამშაბათს, იონსენი დანიელებთან ნაკრებში სათამაშოდ ემზადებოდა. ჯანზეც იყო, მაგრამ „ლივერპულთან" მიღებულმა ტრავმამ თავი შეახსენა. იგი ნაკრების ექიმებმა გასინჯეს და საოპერაციოდ გაამწესეს. თან, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ექიმებმა ფეხბურთელს ის ტრავმაც დაუამეს, ოლდტრეფორდელ კოლეგებს რომ გამორჩენოდათ. იონსენს თურმე მარჯვენა ფეხის კოჭიც დაზიანებია, კლუბში კი მხოლოდ მუხლისთვის მიუქცევიათ ყურადღება.

— ოპერაცია აუცილებელია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იონსენის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს საფრთხე ემუქრება. არამც და არამც ჩვენ ამას არ დავუშვებთ. რონი ორსამ კვირაში ვარჯიშს განაახლებს, ერთი ეგაა, პრემიერლიგის ბოლო სამ შეხვედრას გამოტოვებს — ნორვეგიის ნაკრების ექიმმა ტროგვი კასემ იონსენს ოპერაციის და მიუხედავად საფრანგეთში თამაშის იმედი არ დაუკარგა.

ერთი სიტყვით, „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონობისთვის იონსენის გარეშე გაიბრძოლებს. არადა, ნორვეგიელის არყოფნა შესაძლოა ალექს ფერგიუსონის კლუბს ძვირად დაუჯდეს.

— ვფიქრობ, მალე დავბრუნდები. მართალია, ნაკრებში ამჯერად ვერ ვითამაშებ, მაგრამ 20 მაისს, მექსიკელებთან ალბათ ქვეყნის ღირსებას დავიცავ. ყოველ შემთხვევაში, ამის ძალიან დიდი სურვილი მაქვს — თავად ფეხბურთელს ოპერაცია იოტისოდენადაც არ აშინებს, პირიქით, ნათელი მომავლის იმედი აქვს.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, სწორედ მანჩესტერელ ექიმებზეა ნათქვამი. განა შეიძლება, „მანჩესტერ იუნაიტედის" ექიმი იყო, გულშემატკივართა კერპების ბედი გებაროს, ამ დროს კი ფეხბურთელის ტრავმა გამოგრჩეს?




რონი იონსენი ამ სეზონში კლუბის მაისურს ვეღარ მოირგებს

# ზოგი ზემოთ, ზოგიც ქვემოთ

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

აგერ უკვე რამდენიმე წელია, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია ფიფა ნაკრებთა რეიტინგს ადგენს. ქულების დათვლა, უპირველეს ყოვლისა, შეხვედრის შედეგით, შემდეგ კი მეტოქის ძალის შეფასებით ხდება, რაც რეიტინგს გარკვეულწილად სოლიდურს ხდის. ამავდროულად ამ ნუსხაში ის ქვეყნებია, რომლებიც ფიფას მიერ არიან რეგისტრირებულნი, თანაც ქულებს იმ მატჩების შედეგების გათვალისწინებით ითვლიან, ფიფას ეგიდით რომ იმართება.

მას შემდეგ, რაც ქულათა დათვლის სისტემა შემოიღეს, პირველ ადგილზე უმეტესწილად ბრაზილიაა, თუმცა ლიდერობა არც გერმანელებისთვის ან იტალიელებისთვისაა უცხო. ყოფილა შემთხვევები, პირველობა სხვა ქვეყნებსაც დაუჭაშნიკებიათ, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად და თანაც მცირე ხნით მომხდარა.

20 აპრილს ფიფამ მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა. ლიდერთა შორის სიტუაცია თითქმის არ შეცვლილა, ერთი ეგაა, ათეულში და მის ქვემოთ ორიოდ საგრძნობი გადაადგილება მოხდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ესპანელთა ათეულში დაბრუნება და მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი საფრანგეთის საგრძნობი დაქვეითებაა. ესპანელები, რომლებიც 1994 წლის შემდეგ ნათამაშევი დაახლოებით 30-მდე წაუგებელი შეხვედრის შემდეგ ფრანგებთან დამარცხდნენ, წინა რეიტინგში მესამე ათეულში იყვნენ, თუმცა ახლა ერთბაშად 16 საფეხურით აღზევდნენ და მეცხრე ადგილზე აღმოჩნდნენ.

ფრანგებმა, პირიქით, ქვევით ჩაინაცვლეს — ნორვეგიასთან ვერმოგებულმა და რუსეთთან წაგებულმა მატჩმა გუნდის საფიფო რეიტინგზე საგრძნობი გავლენა იქონია.

სხვა მხრივ, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, რეიტინგში დიდი ცვლილებები არ ყოფილა. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, იგი აქამდე 56-ე გახლდათ, თუმცა ახლანდელ რეიტინგში ერთი საფეხურით დაიწია და ახლა 57-ეა. უკუსვლა კი უდავოდ იმის „დამსახურებაა", რომ ეროვნულ გუნდს მალტის ოთხთა ტურნირის შემდეგ შეხვედრა არ გაუმართია.

**ფიფას რეიტინგის პირველი ოცდაათეული**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ბრაზილია | 72,28 | (1) |
| 2. | გერმანია | 65,44 | (2) |
| 3. | ჩეხეთი | 64,29 | (3) |
| 4. | მექსიკა | 60,76 | (4) |
| 5. | ინგლისი | 59,46 | (5) |
| 6. | ჩილე | 59,15 | (12) |
| 7. | არგენტინა | 58,98 | (7) |
| 8. | იუგოსლავია | 58,12 | (8) |
| 9. | ესპანეთი | 57,96 | (25) |
| 10. | მაროკო | 57,91 | (11) |
| 11. | იაპონია | 57,88 | (9) |
| 12. | ნორვეგია | 57,82 | (10) |
| 13. | კოლუმბია | 58,80 | (17) |
| 14. | ჰოლანდია | 57,45 | (6) |
| 15. | აშშ | 57,18 | (16) |
| 16. | იტალია | 57,16 | (13) |
| 17. | რუსეთი | 56,64 | (23) |
| 18. | ეგვიპტე | 56,24 | (21) |
| 19. | ზამბია | 56,22 | (19) |
| 20. | დანია | 56,15 | (26) |
| 21. | ს. აფრიკა | 56,14 | (20) |
| 22. | რუმინეთი | 55,96 | (15) |
| 23. | ხორვატია | 55,78 | (18) |
| 24. | კორეა | 55,73 | (24) |
| 25. | საფრანგეთი | 55,67 | (14) |
| 26. | ტუნისი | 55,66 | (22) |
| 27. | შვედეთი | 54,35 | (27) |
| 28. | ავსტრია | 53,88 | (28) |
| 29. | პარაგვაი | 53,57 | (30) |
| 30. | ეკვადორი | 52,91 | (32) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

# ვინერვიულოთ, ოღონდ ნუ ვიჩხუბებთ!

საქართველოს პირველობაზე ბოლო აკორდიღა დარჩა. ჩემპიონის ტიტული პირველად, რაც დამოუკიდებელი პირველობები ტარდება, შეიძლება, არადედაქალაქურმა გუნდმა მოიპოვოს. ყოველ შემთხვევაში, არათბილისური გუნდი ასე ახლოს ჩემპიონობასთან ჯერ არ ყოფილა. თუმცა, ეს არც ისე ადვილი იქნება, რუსთავის „აზოტს" ხომ მეტოქედ საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი „ვითა" ეყოლება.



გურამ ცოტნეჯაშვილის ფოტო

აზოტი ფინალის გზაზე ჯაფარიძე მორიგ შეტევას აგვირგვინებს

ერთხელ ჩვენს განთქმულ ჩოგბურთელს ალექსანდრე მეტრეველს ჰკითხეს, თამაშის დროს ძალიან ნერვიულობთო? რომ ვნერვიულობ, იმიტომაც ვთამაშობო — უპასუხა მეტრეველმა — აბა, თუ ჩოგბურთი არაფრად მიღირს, აღარც ვითამაშებო. რა თქმა უნდა, თამაში თავისთავად შეიცავს ემოციურ დამუხტულობას. ვინც მუდმივად გამარჯვებისთვის არ არის მომართული, მას არც ეთქმის მოთამაშე. კი ბატონო, ზოგჯერ შეიძლება წონასწორობიდანაც გამოხვიდე. ადამიანი ადამიანია და ყოველთვის ზუსტად ვერ გათვლის, რას მოიმოქმედებს, მაგრამ ჩვენ იმ დაუწერელი წეს-კანონის წინააღმდეგნი ვართ, ჩვენს კალათბურთში რომ დამკვიდრდა. მსაჯის ყველა გადაწყვეტილებაზე რეაქცია, ლანძღვა-გინება, გაწევ-გამოწევა განუყოფელი ნაწილი გახდა ჩვენი პირველობისა. გასაგებია, ჩვენი მსაჯები ვერ არიან სათანადო კვალიფიკაციის. ნაკრების მწვრთნელებმა იტალიასთან კატასტროფული მარცხის შემდეგ თქვეს, იქ ნამდვილი ომი იყო, ჩვენი მსაჯები კი ყოველ მიკარებაზე უსტვენენ, ასე მოთამაშეები არ გაიზრდებიანო. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეა. მაგრამ ამას სხვა მხრიდანაც შევხედოთ. ყოველი მიკარებისას თითოეული ჩვენი მოთამაშე ყვირის, ილანძღება და ასეთი ფსიქოლოგიური ზეწოლისას მართლაც რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს მსაჯს, რომ თავისი გაიტანოს. მარტო მოთამაშეები რომ იყვნენ ასე, კიდევ არაფერი. მწვრთნელებიც ცეცხლზე ნავთს ასხამენ და ასეთ აუტანელ სიტუაციაში ტარდება თამაშები. ჯადოსნური წრეა, მსაჯს სთხოვენ ხისტი თამაში დაუშვას, დაუშვებს და ატყდება დავიდარაბა. ასე კი არც მსაჯი გაიზრდება და არც მოთამაშე.

წელს ფედერაციამ გაამკაცრა კანონები. მოედნიდან გაძევებაც ხშირია. გაძევებული ავტომატურად სამ მატჩსაც ტოვებს და ფულად ჯარიმასაც იხდის. ამან გარკვეული შედეგი გამოიღო. წელს იმდენი აყალმაყალი, წინა ჩემპიონატში რომ იყო, აღარ ყოფილა, მაგრამ კალათბურთელთა ფსიქოლოგიურ განწყობაში არაფერი შეცვლილა. ისინი თავისი ცუდი თამაშის მიზეზს უმთავრესად სხვებში ეძებენ, ეს კი არანორმალურია. სწორედ ასეთმა ატმოსფერომ განაპირობა ისეთი ორი მოთამაშის უდისციპლინობა, რომელთაგან არც ერთია უწესრიგო და ისინი ადრე კორექტული თამაშით გამოირჩეოდნენ.

არ ვხატავ უსაშველო სურათს. თუ მოვინდომებთ, ყველაფერი მოწესრიგდება, არც სდასუ-სა და „ვითაში" არიან ნაკლები ტემპერამენტის მოთამაშენი, მაგრამ მწვრთნელთა მეცადინეობით და თავად მოთამაშეთა შეგნებით გუნდები გაწევ-გამოწევას თამაშს ამჯობინებენ. ამ პრობლემის მოგვარება ყველამ ერთად უნდა იკისროს — ფედერაციამ, მწვრთნელებმა, მოთამაშეებმა და გულშემატკივრებმაც.

და ნერვიულობა? უნდა ვინერვიულოთ, აბა, რა! სწორედ ამიტომ ველით მოუთმენლად ფინალს და ძალიან გვეწყინება, თუ ამ დღესასწაულს ვინმე ჩაგვიშხამებს.

წლევანდელ ჩემპიონატში ხუთი მეტნაკლებად თანაბარი ძალის გუნდი იყო, რომლებიც დანარჩენებს აშკარად აღემატებოდნენ. ამიტომ თუ მეოთხედფინალში მხოლოდ ერთი წყვილის (თსუ-სდასუ) მატჩები იწვევდა ინტერესს, ნახევარფინალს გულშემატკივრები დიდი ინტერესით ელოდნენ, რადგან იქ ოთხი უძლიერესი მოხვდა. უნდა ითქვას, რომ მოლოდინი არ გამართლდა, რადგან საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა.

„აზოტი"-სდასუ: აქ მოვლენები მეტნაკლებად ისე განვითარდა, როგორც ველოდით. რუსთაველები წელს ჩინებულად თამაშობენ, პირველობაზე მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს, ისიც ჩემპიონატის ბოლოს, სდასუ-სთან. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავდა ამ წყვილის შეხვედრათა ინტრიგას, თუმცა ფავორიტად, რა თქმა უნდა, რუსთაველები ითვლებოდნენ. პირველი მატჩი „აზოტმა" ისეთი აშკარა უპირატესობით მოიგო, შეიქმნა შთაბეჭდილება, სამ მატჩში მოითავებდა საქმეს. მაგრამ თამაზ ოქრუაშვილის ბიჭები დარჩენილ მატჩებში ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდნენ და ერთი მატჩი მოუგეს კიდეც „აზოტს". ძალა აღმართს ხნავს, საბოლოოდ რუსთაველებმა 3:1 გაიმარჯვეს სერიაში და ფინალისტებიც გახდნენ.

„დინამო"-„ვითა": იმედის გაწბილება გულშემატკივრებს ამ წყვილის შეხვედრებში ელოდათ. მეტოქეთა დღევანდელი მდგომარეობით ყველა დაძაბულ მატჩებს ელოდა. გამარჯვებულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ უმრავლესობა ამ წყვილში ხუთივე შეხვედრას ვარაუდობდა. სერია კი „ვითამ" სამ მატჩში დაასრულა. ამის მიზეზი ყველას კარგად მოგეხსენებათ. „ვითამ" პირველი მატჩი პირწმინდად მოიგო. მეორეში კი „დინამოს" ორი წამყვანი მოთამაშის უდისციპლინობამ ეს შეხვედრაც და მთელი სერიაც წაახდინა. დარჩენილი შემადგენლობით „დინამოს" სეზონის ბოლოს აშკარად ფორმაში შესული „ვითას" მეტოქეობა აღარ შეეძლო.

**გია აგლაძე**

# ამათ რაღა დაემართათ?!

ბარსელონაში ევროლიგის ფინალური ტურნირი დიდი ვნებათაღელვით აღინიშნა. პოლიციამ ძლივს გააშველა ბელგრადის „პარტიზანისა" და ბოლონიის „კინდერის" ქომაგები, რომლებმაც მატჩის დაწყებამდე ხელჩართულად იბრძოლეს.

პოლიციას ათენის აეკის ფანების დაშოშმინებამაც მოუწია. ბერძენ გულშემატკივრებს ხელკეტებიც მოხვდათ და რამდენიმე მათგანი პოლიციაშიც მიაბრძანეს.

ახლა კი მატჩებზე. „კინდერმა" უკვე პირველ ტაიმში გადაუწურა ყოველგვარი იმედი ბელგრადის „პარტიზანს" — 45:25, საბოლოოდ კი ბოლონიელებმა 83:61 მოიგეს. გამარჯვებულთაგან გამოირჩა იუგოსლავიელი ზორან სავიჩი, რომელსაც 1989 და 1990 წლებში ევროლიგის ფინალური ტურნირი მოუგია.

უფრო დაძაბული იყო მეორე ნახევარფინალი ათენის აეკსა და ტრევიზოს „ბენეტონს" შორის. მატჩის ბოლოს ბერძნების ამერიკელმა ვილი ანდერსონმა (21 ქულა) გაათანაბრა ანგარიში 63:63, უკანასკნელ წუთებში კი ბერძნებმა იმარჯვეს 69:66. იტალიელებს ვერც ამერიკელი ჰენრი უილიამსის ჩინებულმა თამაშმა უშველა, რომელიც 22 ქულით ყველაზე შედეგიანი იყო ორივე გუნდის მოთამაშეებს შორის.

ფინალში, რომელიც ხვალ გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან აეკი და „კინდერი". მანამდე კი „პარტიზანი" და „ბენეტონი" მესამე ადგილს გაითამაშებენ.

# გაღმელმა გამოღმელებს აჯობა

პირეოსის „ოლიმპიაკოსის" ამერიკელი გამთამაშებელი დევიდ რივერსი ფიბამ 1997 წლის საუკეთესო კალათბურთელად აღიარა. იგი პირველი არაევროპელია, ფიბამ რომ ირჩია. რივერსმა კარიერის დიდი პერიოდი ევროპაში გაატარა. შარშან იგი უდავოდ საუკეთესო იყო ევროლიგის გათამაშებაში და დიდი წვლილი შეიტანა „ოლიმპიაკოსის" ტრიუმფში.

ამავე გუნდის იუგოსლაველი თავკაცი დუშან ივკოვიჩი კი 1997 წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

# ვინ დაითვლის სამაელს?

**დღეიდან რეგულარული ჩემპიონატის 16 რჩეული იწყებს პლეი ოფს, რომელსაც გაფაციცებით ელოდა კალათბურთის ყველა დამფასებელი მსოფლიოს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ეს თამაში იციან. პირველ წრეში გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი მოიგებს სამ მატჩს, მერე კი ჯობნა ოთხ მოგებამდეა.**

## აღმოსავლეთი

**ჩიკაგო ბულზი** (1) 62 მოგება, 20 წაგება
**ნიუ ჯერსი ნეთსი** (8) 43-39
24, 26, 29 აპრილი, 1, 3 მაისი

**ლიდერები:**

ჩიკაგო — მაიკლ ჯორდანი (28, 7 ქულა, 5,8 მოხსნა), სკოტი პიპენი (19,1 ქულა, 5,2 მოხსნა, 5,8 პასი), დენის როდმანი (15,0 მოხსნა), ტონი კუკოჩი (13,3)

ნიუ ჯერსი — კიტ ვან ჰორნი (19,7 ქულა, 6,6 მოხსნა), სემ კასელი (19,6 ქულა, 8,0 პასი), კერი კიტლზი (17,2 ქულა), ჯეისონ უილიამსი (12,9 ქულა, 13,6 მოხსნა)

ბოლო ოთხ სეზონში ნიუ ჯერსი პირველად მოხვდა აღმოსავლეთის რვა საუკეთესოს შორის და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა, მაგრამ აქ პირდაპირ ხუთგზის ჩემპიონ ჩიკაგოს შეეჩხა, რომელთანაც ოთხივე შეხვედრა დათმო რეგულარულ ჩემპიონატში, თანაც სათუოა ოლსტარელი ჯეისონ უილიამსის თამაში — მან მოტეხილი ნეკის გამო ბოლო დროს 11 მატჩი გამოტოვა. „თუ უილიამსი ითამაშებს, ალბათ შევძლებთ ჩემპიონების დამარცხებას". — იმედს არ კარგავს ნიუ ჯერსის თავკაცი ჯონ კალიპარი.

ჩიკაგოელები კი სულ სხვაგვარად ფიქრობენ: „თუ ხელს არაფერი გვიშლის, ნებისმიერის დამარცხება ძალგვიძს. ვფიქრობ, ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი სწორედ ჩვენ გვაქვს" — დაიქადნა მაიკლ ჯორდანმა.

ვარაუდი: ნიუ ჯერსიმ შეიძლება ერთი თამაში მოიგოს.

**მაიამი ჰითი** (2) 55-27
**ნიუ იორკ ნიქსი** (7) 43-39
24, 26, 28, 30 აპრილი, 3 მაისი

მაიამი — ალონზო მურნინგი (19,2 ქულა, 9,6 მოხსნა), ტიმ ჰარდევეი (18,9 ქულა, 9,3 პასი), ჯამალ მაშბურნი (15,1 ქულა)

ნიუ იორკი — ალან ჰიუსტონი (18,4 ქულა), ლარი ჯონსონი (15,5 ქულა, 5,7 მოხსნა), ჩარლ ოუკლი (9,0 ქულა, 9,2 მოხსნა)

მაიამიმ აღმოსავლეთში მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ ატლანტის დივიზიონში პირველობამ მეორე ნომრად განთესვა არგუნა, აქ კი მოსისხლე ნიუ იორკი დახვდა. მათი მტრობა სათავეს გასული პლეი ოფიდან იღებს. მაშინ, მეორე წრეში, მაიამიმ შემდეგ ეტაპზე გასვლა იმიტომ მოახერხა, რომ ნიუ იორკის რამდენიმე წამყვან მოთამაშეს დისკვალიფიკაცია მისცეს, ნაკლული გუნდი კი ვერას გახდა. ნიქსი ამჯერადაც არ იწყებს პლეი ოფს სრული შემადგენლობით. ტრავმირებულია გუნდის ორივე ცენტრი — გიგანტი პატრიკ იუინგი და მისი შემცვლელი კრის დადლი. პირველი იქნებ გუნდს მეორე ეტაპზე შეეშველოს, თუ, რა თქმა უნდა, იქამდე მიაღწია. თუმც ისიც საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში ნიქსს ეს არ გასჭირვებია.

ფიცხელი ბრძოლა იქნება.

**ინდიანა პეისერზი** (3) 58-24
**კლივლენდ კავალიერსი** (6) 47-35
23, 25, 27, 30 აპრილი, 3 მაისი

ინდიანა — რეჯი მილერი (19,5 ქულა), რიკ სმიტსი (16,7 ქულა, 6,9 მოხსნა), კრის მულინი (11,3 ქულა), მარკ ჯექსონი (8,3 ქულა, 8,7 პასი)

კლივლენდი — შონ კემპი (18,0 ქულა, 9,3 მოხსნა), უესლი პერსონი (14,7 ქულა), ჟიდრუნას ილგაუსკასი (13,9 ქულა, 8,8 მოხსნა), ბრევინ ნაითი (9,0 ქულა, 8,2 პასი, 2,5 ჩაჭრა)

შარშან ორივე გუნდი პლეი ოფის მიღმა დარჩა. ამათმა ხელმძღვანელებმა თავში ხელი შემოიკრეს და გუნდების გაძლიერებას მიჰყვეს ხელი. ინდიანამ ახალი მწვრთნელი, ლეგენდარული ლარი ბერდი იწვია, რომელმაც პირველივე წელს ბრწყინვალე შედეგს მიაღწია, თან ისე, რომ ვეტერან კრის მულინის გარდა არავინ დაუმატებია.

კლივლენდში ბევრი ვინმე შეიცვალა, მაგრამ ინდიანასგან განსხვავებით აქ მთავარ მწვრთნელად კვლავ დარჩა მაიკლ ფრატელო, შემადგენლობა კი მთლიანად გადახალისდა. გუნდში, ფაქტობრივად, ძველი აღარავინ დარჩა. სამაგიეროდ, კავალიერსს ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა ჰყავს.

ახალგაზრდულ კლივლენდს ბებერი ინდიანას გამკლავება გაუჭირდება.

**შარლოტ ჰორნეტსი** (4) 51-31
**ატლანტა ჰოუქსი** (5) 50-32
23, 25, 28, 30 აპრილი, 3 მაისი

შარლოტი — გლენ რაისი (22,3 ქულა), დევიდ უესლი (13,0 ქულა, 6,5 პასი), ენტონი მეისონი (12,8 ქულა, 10,2 მოხსნა), ვლადე დივაცი (10,4 ქულა, 8,1 მოხსნა)

ატლანტა — სტივ სმიტი (20,1 ქულა), ალან ჰენდერსონი (14,3 ქულა), დიკემბე მუტომბო (13,4 ქულა, 11,4 მოხსნა, 2,38 დაფერება), მუკი ბლეილოკი (13,2 ქულა, 6,7 პასი, 2,6 ჩაჭრა)

ეს იქნება ორი ტოლძალოვანი გუნდის შერკინება. არადა, რეგულარულ ჩემპიონატში ატლანტას სრული უპირატესობა ჰქონდა. ქორებმა ბზიკებს ოთხივე შეხვედრა ისე მოუგეს, ჯეროვან წინააღმდეგობას არც წასწყდომიან. შარლოტის ერთადერთი კოზირი ფრთა გლენ რაისია, რომელიც შარშან ოდნავ უკეთ ირჯებოდა, თუმც გულხელდაკრეფილი არც ამ სეზონში იყო. ატლანტას ძირითადი უპირატესობა კი ის არის, რომ თანაბრად დაკომპლექტებული ხუთეული ჰყავს. ქორების მწვრთნელის განკარგულებაში არიან ოლსტარელები — სტივ სმიტი და დიკემბე მუტომბო, ასევე საკმაოდ მაღალი კლასის გამთამაშებელი მუკი ბლეილოკი და ალან ჰენდერსონი, რომელიც შეიძლება წლეულს ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშედ აღიარონ. ჯორჯიელთა მინუსი ისაა, რომ გუნდს უხეირო სათადარიგოები ჰყავს. ამათგან ოდენ კრისტიან ლეიტნერი გამოირჩევა, რომელიც ხუთეულიდან სწორედ ჰენდერსონმა ამოაგდო.

მომდევნო წრეში ატლანტა გავა.

## დასავლეთი

**იუტა ჯაზი** (1) 62-20
**ჰიუსტონ როკიტსი** (8) 41-41
23, 25, 29 აპრილი, 1, 3 მაისი

იუტა — კარლ მელოუნი (27,0 ქულა, 10,3 მოხსნა), ჯეფ ჰორნაჩეკი (14,2 ქულა), ჯონ სტოქტონი (12,0 ქულა, 8,5 პასი)

ჰიუსტონი — კლაიდ დრექსლერი (18,4 ქულა, 5,5 პასი), ჰაკიმ ოლაჯუონი (16,4 ქულა, 9,8 მოხსნა), კევინ უილისი (16,1 ქულა, 8,4 მოხსნა), ჩარლზ ბარკლი (15,2 ქულა, 11,7 მოხსნა)

დასავლეთის შარშანდელი ფინალისტები ერთმანეთს პირველსავე წრეში გადაეყარნენ. ამათი შერკინება მუდამ უშეღავათოა, მაგრამ ტრავმებით გატანჯულმა ჰიუსტონმა წლეულს იუტას ოთხივე შეხვედრა დაუთმო, თუმც პლეი ოფისთვის ტეხასელებს ყველა ბებერი ვარსკვლავი მოურჩათ. მართალია, ისინი ძველებურად ველარ ირჯებიან, მაგრამ გუნდი, სადაც ოლაჯუონი, ბარკლი და დრექსლერი თამაშობენ, ხელწამოსაკრავი როგორ იქნება. ისიც ვთქვათ, რომ რაკეტებს სათავეში მათი ბოლო წარმატებების მთავარი შემოქმედი რუდი ტომიანოვიჩი უდგას. მიუხედავად ამისა, ფავორიტი, რა თქმა უნდა, ლიგის ყველაზე შეხმატკბილებული წყვილის — მელოუნ-სტოქტონის იუტაა.

ჰიუსტონი ბოლო ექვს წელიწადში პირველად გამოეთიშება ჩემპიონობისთვის ბრძოლას პირველივე ეტაპზე.

**სიეტლ სუპერსონიქსი** (2) 61-21
**მინესოტა ტიმბერვულვზი** (7) 45-37
24, 26, 28, 30 აპრილი, 3 მაისი

სიეტლი — გერი პეიტონი (19,2 ქულა, 8,3 პასი, 2,3 ჩაჭრა), ვინ ბეიკერი (19,8 ქულა, 8,0 მოხსნა), დეტლეფ შრემპფი (15,8 ქულა, 7,1 მოხსნა)

მინესოტა — კევინ გარნეტი (18,5 ქულა, 9,6 მოხსნა), სტივენ მარბერი (17,7 ქულა, 8,6 პასი), სემ მიტჩელი (12,3 ქულა)

ტიმ გულიოტას ტრავმის შემდეგ მინესოტა, ფაქტობრივად, ორი კაცის — გარნეტისა და მარბერის ამარა დარჩა და, რა თქმა უნდა, სიეტლთან ბრძოლა გაუჭირდება. „სიეტლ სუპერსონიქსი" კი პლეი ოფს სრული საბრძოლო შემადგენლობით ხვდება. დასავლეთის ამ ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს პლეი ოფში სულ მეორედ გასული მინეაპოლისელების ძლევა არ უნდა გაუჭირდეს.

მინესოტა წასაგებადაა განწირული.

**ლოს ანჯელეს ლეიკერსი** (3) 61-21
**პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი** (6) 46-36
24, 26, 28, 30 აპრილი, 3 მაისი

ლეიკერსი — შაკილ ონილი (28,3 ქულა, 11,4 მოხსნა, 2,4 დაფარება), ედი ჯონსი (16,9 ქულა), ნიკ ვან ექსელი (13,8 ქულა, 6,9 პასი)

პორტლენდი — აიზია რაიდერი (19,7 ქულა), დეიმონ სტუდემაიერი (17,3 ქულა, 8,2 პასი), არვიდას საბონისი (16,0 ქულა, 10,0 მოხსნა), რაშიდ უოლესი (14,6 ქულა, 6,2 მოხსნა)

პორტლენდი ყოველთვის ახერხებდა პლეი ოფში თამაშს, მაგრამ 1992 წელს ფინალში ჩიკაგოსთან წაგების მერე მუდამ პირველივე ეტაპზე ეთიშებოდა ბრძოლას. მისი მეტოქე ლეიკერსი კი ბრწყინვალე ფორმაშია. ამ სერიაში ყველაზე საინტერესო ორი გიგანტი ცენტრის — შაკილ ონილისა და ლიტველი არვიდას საბონისის ორთაბრძოლა იქნება.

პორტლენდი ისევ ერთ ან ორ მატჩს მოიგებს.

**ფინიქს სანზი** (4) 56-26
**სან ანტონიო სპურზი** (5) 56-26
23, 25, 27, 29 აპრილი, 3 მაისი

ფინიქსი — რექს ჩეპმენი (15,9 ქულა), ანტონიო მაკდაიესი (15,1 ქულა, 7,6 მოხსნა), კლიფ რობინსონი (14,1 ქულა, 5,1 მოხსნა), ჯეისონ კიდი (11,6 ქულა, 9,1 პასი, 6,2 მოხსნა)

სან ანტონიო — დევიდ რობინსონი (21,6 ქულა, 10,6 მოხსნა, 2,6 დაფარება), ტიმ დანკანი (21,1 ქულა, 11,9 მოხსნა), აივერი ჯონსონი (10,2 ქულა, 7,9 პასი)

ეს იქნება ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გუნდების ბრძოლა. სან ანტონიოს ჰყავს ორი უბადლო ფარზე მოთამაშე — დევიდ რობინსონი და ტიმ დანკანი, რომელთაც ფარქვეშ ნებისმიერი გუნდის დაჩაგვრა ხელეწიფებათ. ფინიქსის გუშინდელმა მოთამაშემ და დღევანდელმა მწვრთნელმა დენი ეინჯმა კი მშვენიერი გუნდი შეკრა. მართალია, ფინიქსმა ტეხასელებს რეგულარულ ჩემპიონატში ოთხიდან სამი შეხვედრა მოუგო, მაგრამ პლეი ოფში ეს ბევრს არაფერს წყვეტს.

ორივეს თანაბარი შანსი აქვს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# რა ომი იქნება!

## ჩვენით დღეის დილას ნჰლ-ის 16 კლუბი სტენლის თასის გათამაშებას იწყებს

### აღმოსავლეთის კონფერენცია

#### ნიუ ჯერსი (1) — ოტავა (8)

ფავორიტად ნიუ ჯერსი ითვლება. „ეშმაკთა" არგუმენტები: საუცხოოდ აწყობილი დაცვა, შესანიშნავი მეკარე მარტინ ბროდო და ლიდერთა დიდი საპლეიოფო გამოცდილება. და მაინც, ბოლო ორი სეზონში ამათი პაექრობისას რომელიმე მათგანის უპირატესობა ერთი შაიბით თუ გამოიხატება ხოლმე.

ნიუ ჯერსი: სტენლის თასის მფლობელი (1995), ორჯერ (1988, 1994) გავიდა კონფერენციის ფინალში.

ოტავა: პლეი ოფში ერთხელ მონაწილეობდა და მერვედფინალში გამოეთიშა ბრძოლას.

გუნდები წლეულს დაზავდნენ — 4 მატჩში 2-2-ჯერ მოიგეს.

#### პიტსბურგი (2) — მონრეალი (7)

ამ სეზონში პიტსბურგიცა და მონრეალიც შარშანდლისგან სრულიად განსხვავებულად თამაშობენ. ეს უფრო პიტსბურგზე ითქმის, ლემიეს წასვლისა და ახალი მწვრთნელის კევინ კონსტანტინის მოსვლის შემდეგ ორგანიზებულ დაცვასა და სწრაფ კონტრშეტევებზე გაკეთდა აქცენტი. კონსტანტინის ტაქტიკურ სქემას შედეგიც მოაქვს, ამიტომაცაა, რომ დღესდღეობით „პინგვინთა" შანსები გაცილებით ძვირად ფასობს. მონრეალსაც გააჩნია კოზირები: კლუბმა სახელოვანი მეკარე ენდი მუგი შეიმატა და პიტსბურგელებზე მეტი ძლიერი ფორვარდი ჰყავს.

პიტსბურგი: სტენლის თასის ორგზის (1991, 1992) მფლობელი, მერე მეოთხედფინალს არ გასცდენია.

მონრეალი: სტენლის თასის 23-გზის (ბოლოს 1993 წელს) მფლობელი, ფინალის 10-გზის მონაწილე.

პლეი ოფში ეს გუნდები პირველად ხვდებიან ერთმანეთს, ჩემპიონატში კი უპირატესობა პიტსბურგს ჰქონდა (+3-2=1).

#### ფილადელფია (3) — ბუფალო (6)

ხუთწლიანმა გონივრულმა საკადრო პოლიტიკამ „მფრინავები" მაჩანჩალისგან ლიგის ერთ-ერთ ფავორიტად აქცია და მავანთა აზრით, სწორედ ახლა დადგა ფილადელფიელთა ჟამი.

ბუფალოს მეკარე დომინიკ ჰაშეკი კი საოცარ სეზონს ატარებს და თუ პლეი ოფშიც იმარჯვა, „მფრინავებს" ძალიან გაუჭირდებათ მისი კარისკენ გზის გაკვლევა.

ფილადელფია: სტენლის თასის 2-გზის (1974, 1975) მფლობელი, 5-გზის ფინალისტი (ბოლოს 1997 წელს).

ბუფალო: თასის ფინალისტი (1975).

შარშანდელ მეოთხედფინალში ფილადელფიამ 4:1 მოუგო სერიაში ბუფალოს.

#### ვაშინგტონი (4) — ბოსტონი (5)

შარშანდელმა უხეირობამ ორივე მეტოქეს ჭკუა ასწავლა და წლეულს საგრძნობლად მოუმატეს. ახალმა მწვრთნელებმა — რონ უილსონმა და პეტ ბერნსმა, უპირველესად, სათამაშო დისციპლინაზე იზრუნეს. „კეპიტალსისა" და „დათვების" პაექრობას ისიც ამძაფრებს, რომ შარშან ამათში დიდი გაცვლა მოხდა: ბოსტონში გადასული ელისონი და კარტერი გუნდის ლიდერებად იქცნენ, ვაშინგტონში დამკვიდრებული ადამ ოუთსი კი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო პლეიმეიკერად ჩამოყალიბდა.

მცირე უპირატესობა მაინც „კეპიტალსს" უნდა მივანიჭოთ, თუნდაც იმიტომ, რომ დედაქალაქელები შინაური უპირატესობით ისარგებლებენ.

ვაშინგტონი: საუკეთესო შედეგი — კონფერენციის ფინალი (1990).

ბოსტონი: სტენლის თასის 5-გზის მფლობელი (1929, 1934, 1941, 1970, 1972) და 12-გზის ფინალისტი (ბოლოს 1990 წელს).

ამ გუნდების ბოლო საპლეიოფო შეხვედრა 1990 წელს, კონფერენციის ფინალში შედგა, სადაც ბოსტონმა 4:0 მოიგო სერია.

### დასავლეთის კონფერენცია

#### დალასი (1) — სან ხოსე (8)

დალასელი „ვარსკვლავები" უეჭველად შეეცდებიან, შარშანდელივით ჩემპიონატში ჩინებულ ასპარეზობას პლეი ოფის პირველივე რაუნდში დამარცხება არ მიაყოლონ. სანხოსელთა შემადგენლობაში ძალიან ბევრი გამოცდილი მოთამაშეა, ზოგიერთებს კი, მაგალითად, კონ მაკლინს, მაიკ რიჩის, მარტი მაკსორლის და მაიკ ვერნონს უკვე უგემიათ თასის მოგების სიტკბო.

დალასი: საუკეთესო შედეგი — ფინალში ორჯერ მონაწილეობა (1988, 1991).

სან ხოსე: ორჯერ გავიდა მეოთხედფინალში (1994, 1995).

წლევანდელ ჩემპიონატში გუნდებმა 2-2-ჯერ მოუგეს ერთმანეთს.

#### კოლორადო (2) — ედმონტონი (7)

თუ ვინმე აატკივებს ედმონტონელებს თავს, ისევ და ისევ პეტერ ფორსბერგის სამეული, უპირველეს ყოვლისა კი მისი მარჯვენა გარემარბი კლოდ ლემიე, რომლის გატანილი გოლი თითქმის ყოველთვის გამარჯვების საწინდარია. თუმცა ბოლო ხანს „ეველანშის" მცველები და მეკარე რუა ძველებურად საიმედონი აღარ არიან, რაც ჩემპიონატის მიწურულს გუნდის 7-მატჩიანმა უხეირო სერიამაც დაადასტურა. „მენავთობეებმა" კი დაცვის გასაძლიერებლად გააზრებული „ტრეიდები" მოიმველიეს. და მაინც, უპირატესობა კოლორადოს უნდა მივანიჭოთ.

კოლორადო: სტენლის თასის მფლობელი (1996), სამჯერ (მათ შორის, შარშან) გავიდა კონფერენციის ფინალში.

ედმონტონი: სტენლის თასის 5-გზის (1984, 1985, 1987, 1988, 1990) მფლობელი, ბოლო მიღწევა — ნახევარფინალში გასვლა (1997).

შარშანდელი პლეი ოფის მეოთხედფინალში კოლორადომ 4:1 იმარჯვა.

#### დეტროიტი (3) — ფინიქსი (6)

დეტროიტი, ცხადია, წლეულსაც შეეცდება თასის მოგებას, მით უმეტეს, რომ, წინა სეზონის დარად, „წითელფრთიანების" ოთხივე სამეულს თითქმის თანაბარი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში. დეტროიტელებს მხოლოდ მაიკ ვერნონის წასვლამ შეუქმნა პრობლემები, რადგან კლუბის ძირითად მეკარე კრის ოსგუდს ღირსეული შემცვლელი არ ჰყავს და არც თავადაა დიდი ოსტატი. თუმცა არასტაბილური ფინიქსი, ალბათ, მაინც ვერ წაუხდენს გუნებას დეტროიტის გამოცდილ მწვრთნელ სკოტი ბოუმენს: ფინიქსელებს ერთი-ორი მოგებაც ფრიად გაახარებს.

დეტროიტი: სტენლის თასის 8-გზის მფლობელი (ბოლოს 1997 წელს) და 12-გზის ფინალისტი (ბოლოს 1995 წელს).

ფინიქსი: საუკეთესო შედეგი: ორჯერ უთამაშია მეოთხედფინალში (1985, 1987).

სეზონური სერია დეტროიტმა მოიგო (+3=2-1), 1996 წლის პლეი ოფშიც დეტროიტელებმა გაიმარჯვეს — 4:2.

#### სენტ ლუისი (4) — ლოს ანჯელესი (5)

დასავლეთში, ალბათ, სწორედ ამ წყვილისგან უნდა ველოდოთ ყველაზე მძაფრ ბრძოლას. სენტ ლუისი, აგერ უკვე 19 წელია, პლეი ოფის მუდმივი მონაწილეა, თუმცა მხოლოდ ერთხელ შეძლო კონფერენციის ფინალამდე (1986) მიღწევა. მას შემდეგ კი, რაც გუნდს კოლორადოში ასისტენტად ნამუშევარი ჟოელ კენევილი გაუძღვა, მას სასიკეთო ცვლილებები დაეტყო, უპირველეს ყოვლისა, „ბლუზმენებმა" უფრო აგრესიული გახადეს თავდასხმა. რაც შეეხება ლოს ანჯელესს, მწვრთნელ ლარი რობინსონის ოთხწლიანმა საქმიანობამ ნაყოფი გამოიღო — მეტწილად ახალგაზრდა ჰოკეისტებით დაკომპლექტებული „მეფეები" 1993 წლის შემდეგ პირველად გავიდნენ პლეი ოფში.

სენტ ლუისი: სტენლის თასის 3-გზის (1968, 1969, 1970) ფინალისტი.

ლოს ანჯელესი: ერთხელ (1993) გავიდა თასის ფინალში.

ჩემპიონატში 4 მატჩიდან 3 სენტ ლუისმა მოიგო, 1 ფრედ დასრულდა.

**სამველ ლარიბიანი**



# მამაზეციერმაც ვერ უშველა

**მონტე კარლოს ღია პირველობა. მონაკო. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 2,2 მილიონი $**

წლევანდელი მონტე კარლოს კენჭისყრაზე ამერიკელებს არ გაუმართლათ — პირველ წრეში წინა კვირის ბარსელონის პირველობის მომგები ტოდ მარტინი და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ანდრე აგასი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ამ მატჩში გამარჯვებული კი მონაკოში „უაილდ ქარდით" მიწვეულ კიდევ ერთ ამერიკელს — პიტ სამპრასს უნდა შეხვედროდა.

აგასი მონტე კარლოში რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა სავარჯიშოდ და ტურინში ქრისტეს კვართის გამოფენის შესახებ რომ შეიტყო, რელიგიური სულისკვეთებით ანთებულმა ტურნირის ორგანიზატორებს მცირე ექსკურსიის ჩატარება სთხოვა. ანდრე 220 კილომეტრით დაშორებულ ტურინში ვერტმფრენით გაამგზავრეს, მერე ეკლესიამდე „როლს როისით" მიაბრძანეს და იმდენი გაუხერხეს, რომ რიგში ხანგრძლივად ყურყუტიც აარიდეს თავიდან. „ვიცოდი, რაც უნდა მეხილა, მაგრამ ამის აღწერა შეუძლებელია. ყველაფერი შესანიშნავი იყო" — განუცხადა ანდრემ ჟურნალისტებს.

მთლიანობაში დაახლოებით იგივეს თქმა შეიძლებოდა მის თამაშზეც: აგასიმ თანამემამულეს ყველა კომპონენტში აჯობა, სირბილითაც დაქანცა და ერთხელ საუცხოო მიღების მისაწვდომად ზედმეტად მოწადინებული მარტინი თიხნარზეც გააგორა. საბოლოოდ, 6:2, 6:1 მის სასაგებლოდ 55 წუთში.

პირველი წრისა და, ალბათ, მთელი სეზონის ყველაზე უცნაური მატჩი კი ანდრეი მედვედევსა და გორან ივანიშევიჩს შორის გაიმართა. 27 წლის ხორვატიც და 23 წლის უკრაინელიც ერთ დროს კლასიფიკაციის საუკეთესო ხუთეულში შედიოდნენ, მაგრამ მათი თამაშის შემხედვარე ამას ვერავინ დაიჯერებდა. ივანიშევიჩი, რომელიც ერთი ხანობა მსოფლიოს საუკეთესო მომწოდებლად ითვლებოდა, თავისი მრისხანე იარაღის ამოქმედებას მთელი ორი სეტი ელოდა, მაგრამ არაფერი რომ არ გამოუვიდა, ორმაგი შეცდომების შიშით ნახევარი ძალით მოწოდებაზე გადავიდა. მედვედევი, რომელიც ეს ტურნირი 1994 წელს მოუგია, უკანა ხაზიდან ზედიზედ რამდენიმე დარტყმის განხორციელებას ვერ ახერხებდა და შეცდომების შიშით ხშირ-ხშირად გარბოდა ბადესთან — მოკლედ, ერთი გამოთქმისა არ იყოს, ყველაფერი სასაცილო იყო, სატირალი რომ არ ყოფილიყო. მაგრამ თუ გრიპშეყრილ მედვედევს საშინელი თამაში კიდევ ეპატიებოდა, ივანიშევიჩის ფიასკო ცოტა ძნელი ასახსნელი გახლდათ.

ასეა თუ ისე, ჩოგბურთელთა და მაყურებელთა ტანჯვამ მთელი ორი საათი გასტანა, მისი ფინალი კი ისეთი გამოდგა, როგორსაც მსგავსი მატჩი იმსახურებდა. მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე თავიდან თანამემამულის, ჭოკზე ხტომაში მრავალმწვანე რეკორდსმენის, სერგეი ბუბკას შეძახილებით გამხნევებული მედვედევი დაწინაურდა, მაგრამ 5:4-ზე თითქოს მთელი ძალა გამოეძალა — მისმა მეორე მოწოდებამ ბადემდეც კი ვერ მიაღწია (!). კიდევ ერთი უხეირო გათამაშება და უკვე მატჩპოინტი ივანიშევიჩს აქვს,მაგრამ იგი გარისკვას ვერ ბედავს და 118 კმ-სთ სიჩქარით აწვდის, რასაც უკრაინელი ბადესთან ხეირიანი გასვლით პასუხობს — 6:6. ჩოგბურთელები კორტის მხარეებს ცვლიან, რასაც ხორვატის მეთოთხმეტე (!) ორმაგი შეცდომა მოჰყვება, მაგრამ რად გინდა — მატჩ-პოინტზე მას მეცხრე ორმაგით არც მედვედევი რჩება ვალში. შემდეგ გათამაშებაზე უკრაინელმა ბურთის მეორე მხარეს გადაგდება მოახერხა, მისმა მეტოქემ კი უკან მობრუნება — ვერა: 8:7. ივანიშევიჩი პირველ მოწოდებას აფუჭებს, ნერვიულად ილიმება და თავის მწვრთნელს ხელით ანიშნებს, სულ ცოტათი ავაცილეო, მერე კი ბურთს ზევით აგდებს, ურტყამს და მატჩს მეთხუთმეტე ორმაგი შეცდომით ასრულებს — 4:6, 6:2, 7:6 (9:7) მედვედევის სასარგებლოდ.


ბორის ბეკერი

ჩოგბურთელებმა კორტი მაყურებელთა ტაშისცემაში კი დატოვეს, მაგრამ ეს მათი ცოდვილობის დამთავრებისთვის მადლობის გამოხატვას უფრო ჰგავდა, ვიდრე თამაშით აღფრთოვანებულთა ოვაციებს.

**პირველი წრე:** გალო ბლანკო (ესპანეთი) — ტიმ ჰენმანი (11, ინგლისი) 6:2, 6:4; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ფელიქს მანტია (9, ესპანეთი) 6:1, 6:4; კარლოს მოია (14, ესპანეთი) — ტომას მუსტერი (ავსტრია) 6:0, 6:3; სერხი ბრუგერა (15, ესპანეთი) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:1, 1:6, 7:5; მარკ ფილიპუსისი (13, ავსტრალია) — ხულიან ალონსო (ესპანეთი) 7:6 (11:9), 4:6, 6:4; ალბერტ კოსტა (16, ესპანეთი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:1, 6:3; სედრიკ პიოლინი (10, საფრანგეთი) — კარლოს კოსტა (ესპანეთი) 6:2, 3:6, 6:3; ალბერტო ბერასატეგი (12, ესპანეთი) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 6:0, 7:5; ბორის ბეკერი (გერმანია) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 5:7, 6:3, 6:1.

ანდრე აგასისა და პიტ სამპრასის შერკინება დიდ ინტერესს კი იწვევდა, მაგრამ ვერაფერიშვილი სანახავი გამოდგა. მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგნიდან თიხნარზე თამაშის დიდოსტატად არც ერთი არ ითვლება, მაგრამ უპირატესობას, ახლანდელი ფორმის გათვალისწინებით, მაინც აგასის ანიჭებდნენ. როგორც აღმოჩნდა, სულ ტყუილად — კვართის მონახულებით გამოწვეულმა ეიფორიამ ამ უკანასკნელს, ეტყობა, სწრაფად გადაუარა.

აგასიმ ორივე სეტი უკეთ დაიწყო, პირველში 2:0 დაწინაურდა, მეორეში — 5:2, მაგრამ დაწყება ერთია და დასრულება მეორე. ხოტორა ამერიკელს სამიზნე ორჯერვე მოეშალა და საქმის ბოლომდე მიყვანის ნაცვლად 3:6, 5:7 წააგო, რაც მეტოქის კარგ თამაშზე მეტად საკუთარ უხეირობას გადააბრალა.

გაცილებით უკეთესი გამოდგა მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი ჩოგნის — გერმანელი ბორის ბეკერის შეხვედრა ტურნირზე მესამედ განთესილ ინგლისელ გრეგ რუზეცკისთან. ბეკერი, რომელიც მონტე კარლოს ფინალში სამჯერ დამარცხებულა, შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ ოდენ მეექვსე ტურნირზე ასპარეზობდა, მაგრამ მსოფლიოში უსწრაფესად მომწოდებელ რუზეცკის არაფერში ჩამორჩა. გამოცდილმა გერმანელმა ცუდი სტარტის შემდეგ პირველ სეტში 1:4-დან ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო, თუმცა მერე ცოტათი მოეშვა და მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინა. გადამწყვეტ ხელში ბეკერმა ინგლისელის სუსტ მხარეს — ბექჰენდს შეუტია, ბრეიკი გაახერხა და 5:2 დაწინაურდა, მაგრამ მერე იოლი სმეშების გაფუჭებას მიჰყო ხელი, ლამის საკუთარი მოწოდება დაკარგა და ტრიბუნებზე მყოფი მეუღლე და თავისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები გვარიანად ანერვიულა, თუმცა მხოლოდ დროებით — 6:4, 3:6, 6:3. „მონტე კარლოში წარმატებით გამოსვლა ყოველთვის ძალიან მახარებდა, მე ხომ, ფაქტობრივად, აქაური მეთქმის — ჩემი სახლი აქედან ხუთასიოდე მეტრში იმყოფება. თუმცა ამჯერად ტურნირის მოგებაზე არც კი ვფიქრობ, უფრო საკუთარი სიამოვნებისთვის ვთამაშობ" — თქვა მატჩის შემდეგ გერმანელმა, რომელმაც ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ ჩოგბურთიდან წასვლა არ გადაუთქვამს, მაგრამ შეიძლება წლევანდელ უიმბლდონზე მაინც იასპარეზოს.

ორთვიანი შესვენების შემდეგ, რაც ქალიშვილის დაბადებით იყო გამოწვეული, მონტე კარლოში უკვე მამის სტატუსით დაუბრუნდა ტურს ჰოლანდიელი რიჩარდ კრაიჩეკი და მეორე წრეში იოლად სძლია ესპანელ ხუან ალბერტ ვილოკას 6:4, 6:2.

**მეორე წრე:** გუსტავო კერტენი (8, ბრაზილია) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:5, 7:5; მარკ ფილიპუსისი — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:4, 6:3; ალბერტ კოსტა — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:4, 6:2.

**ავთანდილ სვანიძე**


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

თბილისი, გუდიაშვილის 11, ტელ.: 99 47 53,
მობილური: 8 77 41 72 57; 8 77 41 72 37
e-mail dato@acacia.postnet.ge



სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29